ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს რიგგარეშე სხდომის

ოქმი N25

ქ.თბილისი 19 მაისი, 2023 წელი

14[00]საათი

საკრებულოს სხდომას ესწრებოდნენ:

საკრებულოს თავმჯდომარე: გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე: გიორგი ახვლედიანი
საკრებულოს თავმჯდომარის მოადგილე: ზურაბ აბაშიძე

საკრებულოს წევრები:

ლევან აბაშიძე
ლევან არველაძე
საბა ბუაძე
არჩილ გორდულაძე
მამუკა გუგეშაშვილი
ირაკლი ეძგვერაძე
კონსტანტინე ზარნაძე
ანა კაკაბაძე
ნიკოლოზ კახეთელიძე
ცოტნე კობერიძე
ლილე ლიპარტელიანი
შალვა ოგბაიძე
გურამ ოქროპირიძე
ნინო რუხაძე
ვახტანგ სურგულაძე
გიორგი შარაშიძე
გივი ჩხარტიშვილი
ნინო წულაძე
ალექსანდრე ხუჯაძე
სოფიო ჯაფარიძე
აკაკი ალადაშვილი
ვლადიმერ ბოჟაძე
ანა გოგოლაძე
ოთარ გრიგოლია
ლევან დავითაშვილი
ნინო ვარდოსანიძე
მარიამ ზაქარიაშვილი
მიხეილ კაკაურიძე
სალომე კობალაძე
კახაბერ ლაბუჩიძე
ნათია მოდებაძე
გიორგი ონიანი
ლევან ჟორჟოლიანი
რევაზ სოხაძე
დავით ფარცვანია
ზურაბ ჩიკვილაძე
ავთანდილ ცინცაძე
ირაკლი ხელაძე
ლევან ჯაფარიძე
ბარბარა ჯიმელი სულაშვილი

საკრებულოს სხდომას ასევე ესწრებოდნენ:

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსი გაიოზ თალაკვაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსი სერგო ბირკაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსი ვახტანგ ლომჯარია;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსი ირაკლი გვილავა;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილი;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელი ნინო ლომინაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს უფროსი ირაკლი თავართქილაძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილეები: დავით ჯაიანი, ვასილ აბულაძე, ოთარ ჩიტიძე;

ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის სსიპ - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს უფროსი გიორგი კობიაშვილი;

თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანი.

საკრებულოს სხდომა გახსნა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და წარმატებები უსურვა საკრებულოს ახალ წევრს არჩილ გორდულაძეს.

ცოტნე კობერიძემ განაცხადა, რომ უკანასკნელ პერიოდში საქართველოს პრემიერმინისტრი გვესაუბრება როგორც კონსერვატორი, რაც მისი თქმით, არის ძალიან დიდი სიცრუე, რადგან კონსერვატიზმი არის ჩვენი პოლიტიკური ისტორია, ხოლო ჩვენი პოლიტიკური ისტორია არის ილია ჭავჭავაძე, რომელიც ამბობდა: „ქვეყანა ტაძარი კი არ არის, სადაც უნდა ილოცო, არამედ სახელოსნოა, სადაც უნდა იმუშაო და გაისარჯო". ამის ნაცვლად, ღარიბაშვილი გამოდის და „ლამის ეპისტოლეებს გვიკითხავს და ყოველ დღე ეკლესიას და მართლმადიდებლობას ახსენებს იმიტომ, რომ იცის, საქმით ვერ იამაყებს და პოპულისტობს". განაცხადა, რომ ილია ჭავჭავაძე იყო ადამიანი, რომელიც წერდა არჩევით მომრიგებელ-მოსამართლეებზე, რომელიც წერდა, რომ მოსამართლე იმგვარი ტიპის ადამიანია, რომელსაც მისი თემი დიდ პატივს უნდა სცემდეს, ავტორიტეტი უნდა იყოს მის გარემოცვაში, რეგიონში და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ჩვენ ვხედავთ, რომ უვადოდ გვინიშნავთ, აქებთ იმ ხალხს, რომლებსაც თქვენ თვითონ ვერ იტანდით, ვერ ენდობოდით თქვენ, ახლა არ ენდობა ოპოზიცია, არ ენდობიან ჩვენი მეგობრები და არავინ და ასეთ ხალხს გვასაღებთ მოსამართლეებად, რაც არ არის ჩვენი ქვეყნის ტრადიცია". მისი თქმით, „ილია ჭავჭავაძე იყო ადამიანი, რომელიც საუბრობდა დეცენტრალიზაციაზე, ჩვენ ვხედავთ ქვეყანას, სადაც დეცენტრალიზაცია კი არა, გვყავს ერთი ოლიგარქი, რომლის პირადი „სტაფი" გვყავს დანიშნული მინისტრებად. ილია ჭავჭავაძე დასცინოდა იმ ადამიანებს, რომლებსაც ლიბერალიზმი სალანძღავ სიტყვად ჰქონდა ქცეული და დღეს ზუსტად ესეთია ღარიბაშვილი - გამოდის და ლიბერალობას ლანძღავს. ილია ჭავჭავაძე იყო ადამიანი, რომელმაც თარგმნა ფრედერიკ ბასტია, წაგვაკითხა სტიუარტ მილი, ჯონ ლოკი, ყველა ის დასავლელი ფილოსოფოსი, რომლებმაც ლიბერალიზმი და დასავლეთი შექმნეს და დღეს გამოდის, ორბანის გვერდზე დგება კაცი და გვესაუბრება კონსერვატიზმზე და რაღაც იდეოლოგიაზე. კაცმა, რომელმაც საკუთარ იდეოლოგიასაც კი უღალატა გაცხადებული რაც ჰქონდა. არ ვიცი, რას აპირებენ ის სოციალისტი „ქართული ოცნების" წევრები, როგორ „გაგვიპრავებენ" ამ კონსერვატიზმს? ამაზე პასუხი, მაგალითად ოთარს რა ექნება, რომელიც იყო გულწრფელი მემარცხენე სტუდენტი და დღეს უკვე ვხედავთ, რომ „ქართული ოცნება" ხდება ფსევდო კონსერვატიული პარტია". საუბრის ბოლოს, ცოტნე კობერიძემ კიდევ ერთხელ მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ძალიან კარგია, რომ ასე დაიწყეთ არჩევნების წინ ეს ამბავი იმიტომ, რომ ჩვენს მხარეს - ლიბერალების მხარეს ილია ჭავჭავაძეა და თქვენს მხარეს ორბანი".

გიორგი ონიანმა საკრებულოს წევრებს შეახსენა, რომ დღეს არის ჩვენი ქვეყნის ერთიანობისთვის მებრძოლი გიგა ოთხოზორიას გარდაცვალების დღე და ითხოვა, წუთიერი დუმილით პატივი მიეგოთ მისი ხსოვნისთვის, რის შემდეგაც სხდომაზე დამსწრე საზოგადოებამ წუთიერი დუმილით პატივი მიაგო გიგა ოთხოზორიას ხსოვნას. გიორგი ონიანმა გაიხსენა საკრებულოს წინა სხდომა, სადაც საუბარი იყო იმაზე, რომ უკრაინაში დაღუპული ქართველი გმირების სახელობის სკვერის გახსნასთან დაკავშირებით საკრებულოში გაიმართებოდა სამუშაო შეხვედრა და აღნიშნა, რომ არანაირი მსაგვსი შეხვედრა არ გამართულა და არც საკრებულოს უმრავლესობის მხრიდან გამოთქმულა შეხვედრის სურვილი და შესაბამისად, საკრებულოს წინა სხდომაზე „ქართულმა ოცნებამ" იცრუა. გარდა ამისა, „ქართული ოცნება" ბოლო დროს მიღებული გადაწყვეტილებებით უფრო და უფრო უახლოვდება რუსულ პარტიას. მისი თქმით, ძალიან კარგია, რომ კონკრეტულმა ადამიანებმა თავის ეზოში გააკეთეს ის, რაც მათ შეეძლოთ, თუმცა, ეს ვერ შეცვლის სახელმწიფოს პოზიციას. გიორგი ონიანმა ასევე, გაიხსენა საკრებულოს წინა სხდომაზე ნინო რუხაძის მიერ გაკეთებული განცხადება, რომ „თურმე პუტინი ყოფილა ცუდი და რუსეთი საერთოდაც არ არის ცუდი" და განაცხადა, რომ „გეორგიევსკის ტრაქტატის" დადების დროს, ძალიან ბევრი ქართველი იმედოვნებდა, რომ დაცული იქნებოდა ჩვენი ტერიტორიები და ეკლესია, თუმცა რაც მას შემდეგ მოხდა, ყველამ ვიცით. საუბრის ბოლოს, მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „იქნებ შემახსენოთ, ან აფხაზეთის ომის დროს, ან 2008 წელს, რომელი რუსის აღშფოთებული პოსტი ნახეთ სადმე, თუნდაც ევროპაში მყოფი რუსის... ეს არის

სწორედ ის ერი, რომელიც არის დამპყრობელი ერი თავისი ბუნებით და რომელსაც სურს საქართველოს დაპყრობა. თქვენ ამ ყველაფერს გვერდს უვლით და გინდათ სხვა რეალობა შეაჩეჩოთ ქართველ ხალხს. ეს ესე არ გამოვა".

ირაკლი ხელაძემ განაცხადა, რომ „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებისგან იმ მოსაზრებების მოსმენა, რაც გაჟღერებული იქნა და „ქართული ოცნების" რუსეთთან ურთიერთობის პოლიტიკის მიმართ პრეტენზიების მოსმენა „ცოტა კომიკურია", რადგან 2008 წლის შემდეგ, ხელისუფლების მხრიდან, არაერთი საშეღავათო ნაბიჯი იქნა გადადგმული რუსეთისკენ. საინტერესოა, მაშინ სად იყვნენ მამუკა გუგეშაშვილი და გიორგი ონიანი? ეხლა გახდა რუსეთი ამ ქვეყნის მტერი? ეს ადამიანები მაშინაც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პოლიტიკური გუნდის წევრები იყვნენ, როდესაც, 2008 წლის ომის შემდეგ, მათი პრეზიდენტი რუსეთის მოქალაქეებს ლარსის გამშვებ პუნქტზე ხვდებოდა, ხელს ართმევდა და ქვეყანაში ეპატიჟებოდა, თუმცა, არავის ახსოვს მათი პროტესტი და დღეს გამოდიან და აკრიტიკებენ ხელისუფლების პოლიტიკას რუსეთთან მიმართებაში. სწორედ ეს არის მათი სახე, რომ რაც თავად აქვთ ჩადენილი და დაშავებული, ყველაფერი სხვებს გადააბრალონ, თუმცა, მიმდინარე პროცესების ყველაზე კარგი შემფასებელი არის საზოგადოება, რომლის მხრიდანაც ადეკვატურად ფასდება მშვიდობისკენ მიმართული პოლიტიკა და აქვს მისი მხარდაჭერა. ირაკლი ხელაძის თქმით, რუსეთის მხრიდან ფრენების აღდგენა რუსეთში მცხოვრები საქართველოს მოქალაქეებისთვის არის კარგი, თუმცა, „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წევრებს ყველაფერი აღიზიანებთ, რაც საქართველოს მოქალაქეებს მოუტანს სიკეთეს. აქვე, გამოეხმაურა უკრაინაში გარდაცვლილი ქართველი გმირების სახელობის სკვერის გახსნასთან დაკავშირებით გაკეთებულ კომენტარს და განაცხადა: „დღეს იცით რომელი ადამიანები აპელირებენ მსგავსი თემებით? ყველაზე დიდი მეფის ძეგლი აიღეს ქალაქის ცენტრიდან და ველოსიპედის ძეგლით ჩაანაცვლეს და დღეს ესენი ითხოვენ, რომ გარდაცვლილი გმირების სახელი მიენიჭოს გარკვეულ სკვერებს". მისი თქმით, „კარგია თუ ცუდია, ასეთ ადამიანებთან გვიწევს ოპონირება და დარწმუნებული ვარ, რომ ამის სწორი შეფასება მოხდება საზოგადოების მხრიდან და არც გამოხმაურება ექნება ამ ყველაფერს და არც მხარდაჭერა". საუბრის ბოლოს განაცხადა, რომ საკრებულოს უმრავლესობა მზად არის იმსჯელოს და შესაბამისი გადაწყვეტილება მიიღოს ყველა იმ საკითხზე, რომელიც საკრებულოში წარდგენილია ამ კუთხით.

ნინო წულაძემ რუსეთის მხრიდან საქართველოს მიმართულებით ფრენების აღდგენას უწოდა „პუტინის ძღვენი „ქართული ოცნებისთვის" და ხელისუფლებისთვის" და მიმართა კონსტანტინე ზარნაძეს: „ამ ფაქტმა თქვენ ძალიან გაგახალისათ, ძალიან მნიშვნელოვანი იყო ეს გადაწყვეტილება თქვენთვის და თქვენს „facebook" გვერდზე უპასუხეთ კიდეც, რომ „ბარემ აფხაზეთი და სამაჩაბლოც რა", იმდენად მოგეწონათ პუტინის ეს ძღვენი". მისი თქმით, ამ გადაწყვეტილებით, ფაქტობრივად, რუსეთი თავისი გავლენის ზონაში იბრუნებს საქართველოს, კიდევ ერთხელ გაფორმდა „ვასალიტეტი" რუსეთსა და საქართველოს შორის, რაც გამოწვეული იყო ზუსტად იმით, რომ ბოლო პერიოდში და განსაკუთრებით მას შემდეგ, რაც საქართველოს მოქალაქეები აქტიურად ვიბრძოდით ევროკავშირის კანდიდატის სტატუსის მოსაპოვებლად, „ქართულმა ოცნებამ" გაამძაფრა ანტიდასავლური პოლიტიკა და ზუსტად ამ ანტიდასავლური „აბა, ომი გინდათ" და თავშეკავების პოლიტიკის ხარჯზე ძღვენი მიიღო პუტინისგან და მიიღო გახსნილი საჰაერო სივრცე. ნინო წულაძემ გაიხსენა, თუ როგორ მოექცა რუსეთის ხელისუფლება იქ მცხოვრებ საქართველოს მოქალაქეებს 2006-07 წლებში და აღნიშნა, რომ რუსეთში, 2006 წლის სექტემბრიდან 2007 წლის იანვრის ჩათვლით, 4634 საქართველოს მოქალაქის გაძევების ორდერი გაიცა და, მათ შორის, 2380 ადამიანი ქვეყნიდან გამოაძევეს სატვირთო თვითმფრინავებით, არაადამიანურ პირობებში, რაზეც სტრასბურგის სასამართლომ, რომლითაც „ქართული ოცნება" იწონებს თავს, თქვა, რომ „ეს იყო არაადამიანური მოპყრობა და კონვენციის დარღვევა". მისი თქმით, ეს არის რუსეთის ხელისუფლების ადმინისტრაციული პრაქტიკა და არა მხოლოდ 2006 წელს, არამედ, მათ ნებისმიერ დროს შეუძლიათ მიმართონ ასეთ მოქმედებებს. ასევე, ძალიან მნიშვნელოვანია ეკონომიკური ოკუპაციის ფაქტები და ამ ფონზე, უკრაინაში რუსეთის აგრესიული ომის დაწყების შემდეგ, საქართველოში დაახლოებით 11000-ზე მეტი ბიზნეს სუბიექტი

დარეგისტრირდა რუსეთის მოქალაქეების მიერ, რომ აღარაფერი ვთქვათ ბინადრობის ნებართვის აღებაზე და გამარტივებული გზით საქართველოს მოქალაქეობის მინიჭებაზე. ნინო წულაძის თქმით, მაშინ, როდესაც ფაქტობრივად, წლის ბოლომდე ველოდებით ევროკავშირის კანდიდატის სტატუსს, რუსეთთან ფრენების გახსნით ვშორდებით ევროპულ ოჯახს. საუბრის ბოლოს გამოეხმაურა „თბილსერვის ჯგუფის" მიერ სპეც.ტექნიკის შეძენის ფაქტს და აღნიშნა, რომ „თბილსერვის ჯგუფმა", თბილისის ქუჩების მოსარეცხად, 4.5 მილიონ ლარად, შეისყიდა „კამაზის" მარკის 10 სპეც.მანქანა მაშინ, როდესაც, 2008 წელს სწორედ „კამაზის" მარკის ავტომობილებით რუსეთმა საქართველოში შემოიყვანა მეომრები და დღეს ქვეყნის 20% ოკუპირებულია.

მიხეილ კაკაურიძემ გააკეთა განცხადება, რომ „ერთიან ნაციონალურ მოძრაობაში" მიმდინარე მოვლენებიდან გამომდინარე, ვერ ხედავს პარტიის მომავალი განვითარების პერსპექტივას და ამიტომ, მიუხედავად იმისა, რომ მისთვის ძალიან მძიმეა, ტოვებს პარტიას და საკრებულოს ფრაქციას. საკრებულოში მუშაობას განაგრძობს, როგორც დამოუკიდებელი წევრი და მომავალს დაუკავშირებს იმ პოლიტიკურ ძალას, რომელიც, თავისი იდეოლოგიითა და ინსტიტუციონალური მართვის ფორმით, იქნება მიზიდულობის ცენტრი ფართო საზოგადოებისთვის.

შალვა ოგბაიძემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ მომდევნო სხდომაზე, რომელსაც დაესწრება გიორგი ონიანი, მისცეს სიტყვა, რათა ამ უკანასკნელს მოსთხოვოს ბოდიშის მოხდა მისი რეპლიკის გამო - „ყველას აქ გესიამოვნათ რუსეთის გამარჯვება", რადგან ეს არ არის პოლიტიკური განცხადება, ეს არის ყველაზე ამაზრზენი შეურაცხყოფა, რაც შეიძლება ერთმა ადამიანმა მეორეს მიაყენოს.

ვლადიმერ ბოჟაძემ განაცხადა, რომ 2012 წელს, საქართველოს პრეზიდენტი ამბობდა, რომ „ჩვენ გვინდა მჭიდრო კავშირი დასავლეთთან და ამავე დროს, დაინტერესებული ვართ, რუსეთთან გავაღრმაოთ ურთიერთობები... ჩვენ მივესალმებით ეკონომიკური ურთიერთობების გაღრმავებას რუსეთთან... ჩვენ მივესალმებით რუსი ბიზნესმენების შემოსვლას, რუსული ფულის შემოსვლას..." და მიმართა ლილე ლიპარტელიანს - „ეს თქვენთვის მისღებია?" ვლადიმერ ბოჟაძემ, ასევე განაცხადა, რომ 2008 წელს, საქართველოს დელეგაციამ მხარი დაუჭირა ჩვენი ქვეყნისთვის „მტრულ" რეზოლუციას მაშინ, როდესაც ომიდან ორ თვეში, მაშინდელი ხელისუფლების წარმომადგენლებმა ხელი მოაწერეს ევროსაბჭოს რეზოლუციას, სადაც ერთ-ერთ მუხლში ეწერა, რომ 7 აგვისტოს დაიწყო ცხინვალის დაბომბვა, რითიც „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" პარტიის წევრებმა საქართველოსთვის უმძიმეს ბრალდებებს მოაწერეს ხელი.

ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა აღნიშნა, რომ უკვე 30 წელია საქართველოს მოქალაქეების უმრავლესობას უნდა ინტეგრაცია ევროატლანტიკურ სივრცეში და ეს არის უცვლელი. მისი თქმით, აღნიშნული ჩაწერილია კონსტიტუციაში და ნებისმიერი ხელისუფლებისთვის არის სავალდებულო, არანაირი უფლება არ აქვს იმოქმედოს ამის წინააღმდეგ და საქართველოს წაართავს ევროპული მომავალი. თუმცა, „ქართული ოცნება" აკეთებს ზუსტად საპირისპიროს - პიროვნული ინტერესების და ლოიალობის გამო, ხელისუფლება უგულებელყოფს მოქალაქეების ნებას, მიდის მის წინააღმდეგ, ოკუპანტ რუსეთთან შედის თანამშრომლობაში და ამით ძირს უთხრის საქართველოს ევროპულ მომავალს. ქვეყნის ოკუპანტთან თანამშრომლობა არის დანაშაული და ამას ჰქვია ქვეყნის ღალატი. ბარბარა ჯიმელი სულაშვილმა აღნიშნა, რომ „ქართული ოცნების" პარტიის მაღალი რანგის წარმომადგენლები ამტკიცებენ, რომ ჯერ ევროკავშირის წევრები არ ვართ და ამის გამო ვალდებული არ ვართ, დავემორჩილოთ ამ ნორმებს, რაშიც კარგად ჩანს მათი მენტალიტეტი და მიმართა საკრებულოს უმრავლესობის წევრებს: „ევრონორმებს არ ემორჩილებიან, ნებაყოფლობით ასრულებენ იმიტომ, რომ იზიარებენ სულისკვეთებას და საერთო ღირებულებებს და ჩვენი ხელისუფლების წარმომადგენლების საუბარში ჩანს სულ სხვა მენტალიტეტი - ეს არის იმპერიალისტური მენტალიტეტი, სადაც მონა ემორჩილება პატრონს. ესეთი მენტალობა არაფრით არ არის ევროპული, ეს არის მხოლოდ და მხოლოდ რუსული. თქვენ ასევე ამტკიცებთ, რომ ესეთი ქმედებები საჭიროა მშვიდობისთვის და იმისთვის, რომ საქართველო

გადარჩეს. გარუსება და შეკავშირების პოლიტიკა არის საჭირო რომ საქართველო გადარჩეს? რომელი ერი გადაარჩინა რუსეთმა? აფხაზებს ჰკითხეთ თუ რამდენად უწყობს ხელს დღეს რუსეთი აფხაზურ კულტურას და აფხაზ ერს... 1801 წელს არ მივიღეთ ეს გამოცდილება? 1921 წელს არ მივიღეთ ეს გამოცდილება? ეს ფილმი ხომ ნანახი აქვს ამ ქვეყანას?.. ეხლაც ამტკიცებთ, რომ მაშინ მიშამ ცოდვა ჩაიდინა და რატომ აკეთებთ ეხლაც იგივეს? ყველა ხელისუფლებას აქვს არჩევანი, შეგიძლიათ უკეთესად გააკეთოთ, მაგრამ უნდა გააკეთოთ... რით ვერ გაიგეთ, რომ ჯაყო არის ჯაყო და სულ ჯაყო იქნება. მთავარია ის, რას ვაკეთებთ ჩვენ - ვიყოთ თეიმურაზები და მარგოები თუ ვიყოთ ღირსეული პოლიტიკოსები და დემოკრატიული, ძლიერი და პრინციპული." საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ ის პოლიტიკური ძალა, რომელიც მიდის მოქალაქეების ნების წინააღმდეგ, კარგავს ყველანაირ პოლიტიკურ და მორალურ უფლებას, რომ იყოს ხელისუფლებაში.

ანა გოგოლაძემ ისაუბრა დღის წესრიგით წარმოდგენილ ერთ-ერთ საკითხზე, რომელიც ეხება კერძო და მუნიციპალურ საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მონაცვლეობას, რომელიც, მისი თქმით, არის შესაძლო დანაშაულებრივი საქმე. კერძოდ, საქმე ეხება დედაქალაქის მერის გადაწყვეტილებას, რომლის მიღმაც იმალება თბილისში გაბატონებულ დეველოპერულ კომპანიებთან დაკავშირებული მორიგი შესაძლო კორუფციული სქემა და სამწუხაროდ, საკრებულოს უმრავლესობას უწევს ამ საქმის გამართლება. მას შემდეგ, რაც დამტკიცდა ახალი „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმა", თბილისში აღმოჩნდა უამრავი ისეთი ადამიანი, რომელთა საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთებს დაედო სატყეო ან სარეკრეაციო ზონა, რითიც შეეზღუდათ მშენებლობის ნებართვა და შესაბამისად, შემცირდა მათი მიწის ნორმატიული ფასი. დეველოპერი შალვა ქვრივიშვილი, რომელიც ფლობს ორ სამშენებლო კომპანიას, გასული წლის ოქტომბერში, დაახლოებით ერთი კვირის ვადაში, თბილისში ყიდულობს ისეთ ტერიტორიებს, რომლებსაც ახალმა გენ.გეგმამ საცხოვრებელი ზონის სტატუსი შეუცვალა სატყეო ზონით, რაც ნიშნავს იმას, რომ შალვა ქვრივიშვილი კერძო მესაკუთრეებისგან მიწის ნაკვეთებს ყიდულობს იმაზე იაფად, ვიდრე შეიძლებოდა ყოფილიყო მისი საბაზრო ფასი. ოთხივე მიწის ნაკვეთის გაფორმებიდან ზუსტად ერთ კვირაში, დეველოპერი მიმართავს ქონების მართვის სააგენტოს და ითხოვს მონაცვლეობას ანუ იხდის ნაკლებს სატყეო ზონაში და ითხოვს ლისის ტბაზე მდებარე „სარფიან" მიწაში მონაცვლეობას, რომელსაც ადევს ძალიან დიდი ფასი და მოთხოვნადია დეველოპერებში. შესაბამისად, აქვე იკვეთება ამ დეველოპერის განზრახვა, რომ იგი მიზანმიმართულად ყიდულობდა ამ მიწებს. ამის შემდეგ, ქონების მართვის სააგენტო, შალვა ქვრივიშვილის მიერ განცხადების დარეგისტრირებიდან რამდენიმე საათში, მიმართავს ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნულ ბიუროს და ითხოვს მიწის ნაკვეთების შეფასებას არა როგორც სატყეო ზონა ანუ როგორც შალვა ქვრივიშვილმა იყიდა, არამედ, როგორც საცხოვრებელი ზონა. მნიშვნელოვანია ის გარემოებაც, რომ შალვა ქვრივიშვილს ბიზნესში ჰყავს მეწილე გიორგი ხუციშვილი, რომელიც „ქართული ოცნების" შემომწირველია და მართალია, „ქართული ოცნების" წარმომადგენლების თქმით, პარტიას ბევრი ადამიანი სწირავს ფულს, მაგრამ 100000 ლარს ბევრი არ სწირავს და არც შემოწირულობას აკეთებს მას შემდეგ, რაც განაცხადს გააკეთებს მერიაში, ხოლო ხსენებული პიროვენება 30000 ლარს სწირავს პარტიას მანამ, სანამ მერი მიიღებს გადაწყვეტილებას. ამ შემოწირულობიდან ძალიან მალე, გარემოს დაცვის და ურბანული განვითარების სამსახურები ხელს აწერენ გადაწყვეტილებას და ამავდროულად, მერიც იღებს გადაწყვეტილებას ქონების მონაცვლეობის თაობაზე და ორჯერ უფრო დიდ და ძვირადღირებულ მიწაში უცვლის შალვა ქვრივიშვილს მიწებს. სამწუხაროდ, ეს არ არის პირველი შემთხვევა და მსგავსი მიდგომები იქცა ტენდენციად, რაც არის იმის ლუსტრაცია, რომ თბილისის მერიაში გადაწყვეტილების მიღება ხდება „ქართულ ოცნებასთან" დაახლოებული დეველოპერების სასარგებლოდ, რითიც, საბოლოო ჯამში, ვიღებთ ურბანულ გენოციდს და ამ პროცესში დაკარგულია მოქალაქეების ინტერესები. განაცხადა, რომ როგორც არ უნდა სამართლებრივად დაივარცხნოს ეს თემა და მურუსიძის და ჩინჩალაძის გადაწყვეტილებებით სამართლებრივად აბსოლუტურად გამართული იყოს, სამართლიანი ვერ იქნება. საუბრის ბოლოს, აღნიშნა, რომ მის მიერ დასახელებული თითოეული გარემოება შეიცავს ძალიან ბევრ კითხვის ნიშანს და ისურვებდა,

რომ მსგავს კორუფციულ საქმეებს საკრებულო კენჭს არ უყრიდეს მაშინ, როდესაც დედაქალაქში ამდენი პრობლემაა.

ვახტანგ სურგულაძემ აღნიშნა, რომ საკრებულოში ჩატარდა ძალიან კარგი ღონისძიება, პარაორკესტრის მონაწილეობით, რაც მისასალმებელია და მადლობა გადაუხადა ღონისძიების ორგანიზატორებს. თუმცა, ამასთანავე, უნდა ითქვას ისიც, რომ საკრებულოდან „ხუთას ნაბიჯში" დედები ითხოვდნენ პრემიერმინისტრთან შეხვედრას იმისთვის, რომ შვილებისთვის შეეძინათ წამალი, თუმცა პრემიერმინისტრი ერთხელაც არ შეხვდა მათ. ასევე, არ მისულან ამ დედებთან საკრებულოს უმრავლესობის წარმომადგენლები და მიმართა მათ: „რატომ? გენდერული საბჭო გვაქვს, ქალების უფლებებს ვიცავთ... აგიკრძალათ ვინმემ იქ მისვლა?" აქვე აღნიშნა, რომ ქალაქში გვაქვს ძალიან ბევრი პრობლემა და საინტერესო იქნება ამ პრობლემებზე საუბარი. გამოთქვა მოსაზრება, რომ საკრებულომ მოიწვიოს კომპანია „GWP"-ს წარმომადგენლები და განსაკუთრებით, ბახტრიონის სატუმბო სადგურის ხელმძღვანელი, რომ მოისმინოს, „რა ვერ გაკეთდა ასეთი". მისი თქმით, იგივე ეხება ტრანსპორტს, წერეთლის გამზირს და მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს, რომ მოეწყოს შეხვედრები შესაბამისი სამსახურების წარმომადგენლებთან, რათა საკრებულოს წევრებმა იცოდნენ, რა იგეგმება ქალაქში ამ მიმართულებებით არსებული პრობლემების მოსაგვარებლად, რადგან სწორედ თბილისში არსებული პრობლემების მოგვარება და ზოგადად, დედაქალქის მიხედვა არის საკრებულოს ამოცანა.

გიორგი ტყემალაძემ აღნიშნა, რომ კომპანია „GWP"-ს მენეჯმენტში არის გარკვეული ცვლილებები და ალბათ უმჯობესი იქნება ცოტა ხანს მოცდა, თუმცა ტრანსპორტის სამსახურის წარმომადგენლებთან შეხვედრა შესაძლებელია დაიგეგმოს და მიმართა საკრებულოს შესაბამისი კომისიის თავმჯდომარეს, რომ უახლოეს მომავალში ორგანიზება გაუწიოს შეხვედრის მოწყობას.

საბა ბუაძე გამოეხმაურა საქართველოს და რუსეთს შორის განვითარებულ ურთიერთობას, რომელსაც „საგანგაშო და სახელმწიფოსთვის ძალიან საშიში" უწოდა და განაცხადა: „სიმბოლურია, რომ 1920 წლის 7 მაისს მოსკოვსა და თბილისს შორის გაფორმდა მოსკოვის ხელშეკრულება და რუსეთი იყო პირველი სახელმწიფო, რომელმაც საქართველო აღიარა დამოუკიდებელ სახელმწიფოდ და გასცა საქართველოზე თავდაუსხმელობის პირობა და ეს ყველაფერი ხდებოდა სამხედრო ნეიტრალიტეტის პირობით, თუმცა, ამ შეთანხმების ხელმოწერიდან რამდენიმე თვეში, რუსის ჯარებმა მოახდინეს საქართველოს ანექსირება". მისი თქმით, ის ფრენები, რომლის პირველი რეისიც დღეს შესრულდა, დამთბარი ურთიერთობების სიმბოლური აღიარებაა, ეს ფრენები არცერთ შემთხვევაში არ გულისხმობს ლოჯისტიკურ საკითხს და არ ეხება მხოლოდ ადამიანების საქართველოში პირდაპირი რეისით გადმოყვანას. ეს არის საგანგაშო კრისტალიზაცია იმ ურთიერთობების, რომელიც ივანიშვილისა და რუსეთის ხელისუფლებას შორის არის, რასაც ჩვენი ქვეყნისთვის კარგის მოტანა არ შეუძლია და ამას მოწმობს ჩვენი უახლესი ისტორია. რუსეთთან გაზრდილი ეკონომიკური და სავაჭრო ურთიერთობები ჩვენი ქვეყნისთვის არის საფრთხის შემცველი, თუმცა, დღევანდელი ხელისუფლების მმართველობის ბოლო წლებში გაიზარდა სავაჭრო ურთიერთობები, დამოკიდებულება რუსეთზე და ის, რომ რუსეთი ამ დამოკიდებულებას მერე სხვადასხვა სახელმწიფოების შანტაჟიშთვის იყენებს, თითოეულმა ჩვენგანმა ძალიან კარგად იცის. სწორედ ამიტომ აუცილებელია, რომ მაქსიმალურად დაცული ვიყოთ რუსეთისგან, მათ შორის, თავი დავიცვათ ამ დამოკიდებულების ზრდისგან და გავამკაცროთ სავიზო რეჟიმი. საქართველო დღეს არის ყველაზე ლიბერალურად განწყობილი სახელმწიფო, როდესაც ეს რუსეთთან სავიზო ურთიერთობას ეხება და სწორედ ამის შეცვლას ითხოვს ოპოზიცია საკანონმდებლო ინიციატივით, თუმცა არაფერი ხდება ამ მიმართულებით, რაც კიდევ ერთხელ ადასტურებს იმას, რომ რუსეთთან ურთიერთობის ასე დათბობა არის დღევანდელი ხელისუფლების და ივანიშვილის ინტერესში, რათა შეინარჩუბოს ხელისუფლება. საბა ბუაძემ ასევე, ისაუბრა თბილისში ლიფტებთან დაკავშირებით არსებულ პრობლემაზე და აღნიშნა, რომ დედაქალაქში 17000-მდე ამორტიზებული ლიფტია, რომელიც სასწრაფოდ საჭიროებს მუნიციპალიტეტის ყურადღებას და ის მიდგომა, რომელიც დედაქალაქის მერს აქვს არჩეული - მთელი პასუხისმგებლობის გადატანა მოსახლეობაზე, რომ მათი საერთო ქონება

შეარემონტონ და შეაკეთონ, არასწორია. ამას მოწმობს თუნდაც ის ფაქტი, რომ ლიფტების შეკეთებასთან დაკავშირებით, სხვადასხვა გამგეობებში შესულია 2000-ზე მეტი მოთხოვნა, რომლებიც ჯერ კიდევ არ დაკმაყოფილებულა. რასაკვირველია კარგია, რომ ამ წლების განმავლობაში ლიფტების შეკეთების მიმართულებით დაიხარჯა 35000000 ლარი, მაგრამ კარგად უნდა ვიცოდეთ, რომ დღეს თბილისში გვაქვს სიცოცხლისთვის და ჯანმრთელობისთვის სახიფათო ათასობით ლიფტი და ამას არ ექცევა სათანადო ყურადღება. აქედან გამომდინარე, საჭიროა შემუშავებული იქნას ახალი მექანიზმი, რომ ამხანაგობებს და ჩვენს თანამოქალაქეებს არ ჰქონდეთ დაკისრებული მთელი პასუხისმგებლობა და გაიზარდოს მუნიციპალიტეტის როლი, მათ შორის, ლიფტების ინსპექტირების და დალუქვის ნაწილში, რადგან თუ ჩვენ ვიცით, რომ ქალაქში არის „მკვლელი ლიფტები", ეს ნიშნავს იმას, რომ ჩვენ ვიცით, რომ ყოველ მომდევნო დღეს შეიძლება მოხდეს ახალი ტრაგედია. სწორედ ამიტომ, საჭიროა, საკრებულომ ერთობლივად იმუშაოს იმისთვის, რომ გადაჭრას სიცოცხლისთვის საშიში ლიფტების პრობლემა.

გიორგი შარაშიძემ აღნიშნა, რომ სულ ახლახანს თბილისის მერიამ შეისყიდა რუსული „კამაზები", რამაც გამოიწვია საზოგადოების სამართლიანი უკმაყოფილება, რადგან „კამაზი" არ არის მხოლოდ ერთ-ერთი მორიგი რუსული კომპანია, რომლისგანაც საქართველო ყიდულობს მილიონობით ლარის პროდუქციას, ეს კომპანია არის სანქცირებული ევროკავშირის მიერ იმიტომ, რომ რუსეთის „ტერორისტულ არმიას" აწვდის სამხედრო ტექნიკის და შეიარაღების კომპონენტებს, რომლის გამოყენებითაც იღუპება ათასობით ადამიანი ჩვენს მეგობარ უკრაინაში. მისი თქმით, კახა კალაძის არგუმენტი იმაზე, თუ რატომ უხდის თბილისის მერია მილიონობით ლარს რუსულ კომპანიას, რომელთანაც მთელ ცივილიზებულ სამყაროს გაწყვეტილი აქვს კონტაქტი, იყო ის, რომ თურმე მერიას არ აქვს უფლება სატენდერო პირობებში ჩადოს სატენდერო ქვეყანა და დაინტერესდა, როგორ გახდა შესაძლებელი, მაგალითად, ევროპული ნაგვის ურნების შესაძენად გამოცხადებულ ტენდერში ჩადებულიყო ისეთი პირობა, რომელიც აპრიორი გამორიცხავდა რუსული კომპანიის მონაწილეობას ტენდერში, რადგან პირდაპირ იყო მითითებული, რომ კომპანიას უნდა ჰქონოდა ევროკავშირში გარკვეული რაოდენობით მიწოდების გამოცდილება. მისი თქმით, გამოდის, რომ როდესაც მერიას აქვს ინტერესი, რომ კონკრეტულ კომპანიას მოარგოს ესა თუ ის ტენდერი, შესაძლებელია ჩაიდოს შესაბამისი პირობები, ხოლო თუ სხვა ინტერესი აქვს, იქ განგებ არ დებს ასეთ პუნქტს და საზოგადოება შეჰყავს შეცდომაში, როდესაც ამბობს, რომ თურმე არ აქვს უფლება სატენდერო პირობებით შეზღუდოს ამა თუ იმ კომპანიის მონაწილეობა ტენდერში. აქედან გამომდინარე, გიორგი შარაშიძემ მიმართა საკრებულოს თავმჯდომარეს: „იქნებ გაგვცეთ პასუხი, როგორ ხდება ეს და რამდენად იყო შესაძლებელი „კამაზების" შესყიდვის ტენდერში ჩადებულიყო ანალოგიური პირობა, როგორიც იყო ჩადებული და არის ჩადებული ნაგვის ურნების ტენდერში და სულ ახლახანს მიმდინარე 18 მეტრიანი ავტობუსების შესასყიდად გამოცხადებულ ტენდერში, რომ კომპანიას უნდა ჰქონდეს ევროკავშირში მიწოდების გამოცდილება". გიორგი შარაშიძემ განაცხადა, რომ ოპოზიციას, როგორც უმცირესობას, არ აქვს გადაწყვეტილებებზე ზემოქმედების რეალური ბერკეტები, მაგრამ ნამდვილად არ აქვს მორალური უფლება, რომ არ გააპროტესტოს ასეთი საკითხები და სურს, რომ დღევანდელი მისი გამოსვლა დარჩეს როგორც ძალიან დიდი აღშფოთებისა და პროტესტის მაგალითი, რომ „საქართველოში, დღეს, ამ ვითარებაში, აქ და ახლა, რუსული კომპანია „კამაზი" რეცხავდეს საქართველოს დედაქალაქის ქუჩებს, მიუხედავად იმისა, რამდენად კარგი და კეთილშობილურიც არ უნდა იყოს თბილისის ქუჩების მორეცხვა". საუბრის ბოლოს, განაცხადა, რომ გარდა პოლიტიკური ნებისა, რუსული კომპანიისგან აგვერიდებინა თავი, აქ არის მასშტაბური პოლიტიკური კორუფციის უდიდესი ეჭვები, რაც არ დარჩება გამოუძიებელი და არცთუ ისე შორეულ მომავალში ყველაფერს გაეცემა სათანადო პასუხი.

გიორგი ტყემალაძის თქმით, ყველა ვთანხმდებით, რომ სწორია, ავტობუსების ტენდერში ევროკავშირში მიწოდების გამოცდილების მითითება, ხოლო რაც შეეხება „თბილსერვის ჯგუფის" მიერ გამოცხადებულ კონკრეტულ ტენდერს, აღნიშნა, რომ არ იცნობს მის პირობებს, თუმცა დარწმუნებულია, რომ გარკვეული ლოგიკა იმაში, თუ რატომ არ მოხდა აღნიშნულის

პრევენცია, ნამდვილად არის და არანაირ დარღვევას არ აქვს ადგილი არც სამართლებრივი და კორუფციული და არც პროფესიული თვალსაზრისით, თუმცა, დაინტერესების შემთხვევაში, საკრებულო მზად არის ერთობლივად იმუშაოს და დააზუსტოს ტენდერის დეტალები.

კონსტანტინე ზარნაძემ განაცხადა, რომ სურს დააფიქსიროს თავისი პოლიტიკური აზრი იმ მოვლენებთან დაკავშირებით, რომელიც რუსეთის ფედერაციის მხრიდან სავიზო რეჟიმის მოხსნას ეხება და ასევე, გამოეხმაუროს იმ ნარატივს, რომლითაც ოპოზიცია უმრავლესობის წარმომადგენლებს „რუსეთთან გარიგებულებს" უწოდებს. მისი თქმით, დღევანდელი ოპოზიცია, 10-12 წლის წინ რუსებს „მუხლებზე დაჩოქილი ეხვეწებოდა" სავიზო რეჟიმის მოხსნას. კონსტანტინე ზარნაძემ გაიხსენა ელენე ხოშტარიას, ვანო მერაბიშვილის და მიხეილ სააკაშვილის მაშინდელი განცხადებები, როდესაც მათთვის მისასალმებელი იყო რუსი ტურისტების შემოსვლა საქართველოში, რუსული ინვესტიციების განხორციელება საქართველოში, რუსეთთან ვაჭრობა და მიმართა ქართველ საზოგადოებას: „ამ ქვეყანას ომი და სისხლისღვრა უახლესი ისტორიის არცერთ ეტაპზე არ დაკლებია. ყველა პატარა ერი, რომელიც ფეხზე მყარად დგას, პირველ ადგილზე აყენებს საკუთარ ინტერესებს. რუსეთისთვის სანქციების დაწესება, პირველ რიგში, დაგვაზიანებს ჩვენ და ჩვენს ეკონომიკას. დარწმუნებული ვარ, ეს ამ ქვეყნის თითოეულ მოქალაქეს ძალიან კარგად ესმის. ვერავინ ვეღარ იქნება ჩვენი ქვეყნის მმართველი და პატრონი. ქართველი ხალხი თავად გადაწყვეტს რა დროს რა ნაბიჯი გადადგას". მისი თქმით, ოპოზიცია ხალხს აჯერებს, რომ აუცილებელია „პატრონად" გვყავდეს რომელიმე დიდი ქვეყანა, განაცხადა: „მეგობრობა და პატრონობა ერთმანეთისგან ძალიან განსხვავდება. ჩვენ მზად ვართ მეგობრობისთვის და არა ვინმეს მონობისთვის". განაცხადა, რომ ქართველ ხალხს შესწევს ძალა თავად გადაწყვიტოს თავისი ბედი და კიდევ ერთხელ მიმართა საზოგადოებას: „ჩვენმა გმირებმა ბევრი სისხლი გაიღეს, ბევრი ბრძოლა გადავიტანეთ და ღმერთმა დაგვიფაროს ჩვენს ქვეყანაში რაიმე მოხდეს იმიტომ, რომ ჩვენს გარდა აქ არავინ იომებს, არავინ ჩაერევა ჩვენს საბრძოლო მოქმედებებში და ეს ყველამ ძალიან კარგად დავინახეთ, თუნდაც უკრაინის მაგალითზე. შეერთებულ შტატებს, დღეის მდგომარეობით, ვაჭრობაც კი არ შეუჩერებია რუსეთთან. და ბოლოს, დიახ, ჩვენ, სწორი პოლიტიკით აუცილებლად დავიბრუნებთ აფხაზეთს და სამაჩაბლოს... დიახ, ჩვენი პოლიტიკით აუცილებლად ავარიდებთ ქვეყანას ომს... დიახ, ჩვენი სწორი და ამ ქვეყნის სწორი პოლიტიკით, აუცილებლად გაგრძელდება ქვეყნის სტაბილური განვითარება".

ლევან ჯაფარიძემ აღნიშნა, რომ რამდენიმე წლის წინ, კრწანისის რაიონში, ერთ ჰექტარ მიწის ნაკვეთზე მოეწყო ძალიან ლამაზი სკვერი, რომელსაც შემდეგ, კახა კალაძის ინიციატივით, დაერქვა რუსეთის ოკუპაციის მსხვერპლთა სკვერი, ხოლო შემდგომ წლებში, ამ სკვერში დაიდგა რუსეთის ოკუპაციის მსხვერპლთა მემორიალი, რაც იდეურად, თავისი დასახელებითა და იმ აზრით, რაც ამ სახელდებაში დევს, ძალიან შეესაბამება ოპოზიციონერი კოლეგების თხოვნას უკრაინაში გარდაცვლილი გმირების სახელობის სკვერის გახსნასთან დაკავშირებით. აქვე განაცხადა, რომ „რუსეთის იმპერიალისტური ხასიათიდან და სურვილებიდან გამომდინარე, ოკუპაციები შეიძლება მუდმივად გრძელდებოდეს და არ მგონია, რომ ყოველთვის მიზანშეწონილი იყოს ახალი გეოგრაფიული ადგილების მოძიება იმისთვის, რომ ცალკე გამოვყოთ". საუბრის ბოლოს, გამოეხმაურა ლიფტებთან დაკავშირებით გაჟღერებულ პრობლემას, განაცხადა, რომ წლების განმავლობაში ხორციელდება ლიფტების რეაბილიტაციის პროგრამა, რაც მუნიციპალიტეტისთვის არის ერთ-ერთი პრიორიტეტი ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარების მიმართულებით და მიმართა საბა ბუაძეს, რომ წარმოადგინოს კონკრეტული გეგმა, თუ რა სახით არის შესაძლებელი ათასობით ლიფტის ერთიანი რეაბილიტაციის განხორციელება, რასაც სიამოვნებით განიხილავს საკრებულო.

ზურაბ აბაშიძემ გაიხსენა მიხეილ სააკაშვილის სიტყვები, როდესაც ის საუბრობდა რუსეთთან სავიზო რეჟიმის გაუქმებაზე და რუსი ტურისტების საქართველოში შემოსვლაზე, რიტორიკული კითხვით მიმართა „ერთიანი ნაციონალური მოძრაობის" წარმომადგენლებს: „ეხლა სხვა რუსები შემოდიან საქართველოში? სხვა თაობა არიან? განსხვავებული ხალხია თუ რაზე ვლაპარაკობთ?" და განაცხადა, რომ „სანამ საქართველო არ გახდება ნატოს და ევროკავშირის წევრი ქვეყანა, იქნება სულ მძიმე მდგომარეობა, ეს უნდა გავითვალისწინოთ და დღევანდელი ხელისუფლების პასუხისმგებლობა მდგომარეობს იმაში, რომ დაიცვას თავისი

ქვეყანა როგორც შეუძლია მანამ, სანამ არ გავხდებით ნატოსა და ევროკავშირის წევრი ქვეყანა, რომელსაც ექნება მეტი გარანტიები და დაცულობა“.

სალომე კობალაძე გამოეხმაურა მეფე ერეკლესთან დაკავშირებით გაჟღერებულ რეპლიკას და განაცხადა, რომ „მეფე ერეკლეს მაშინ სხვა არჩევანი არ ჰქონდა... ან უნდა მუსულმანური სახელმწიფო გავმხდარიყავით ან უნდა ვყოფილიყავით რუსეთთან - ეს იყო აპრიორი. დღეს, ჩვენ არჩევანი გვაქვს, ჯერ კიდევ გვაქვს. ამიტომ, მე პირადად, მთელი ჩემი გუნდი და დარწმუნებული ვარ, ყველა თქვენგანი ირჩევს ევროპულ მომავალს. როგორც არ უნდა ვილაპარაკოთ და რაც არ უნდა გამოვხატოთ დღეს აქ, ყველას გვინდა ევროპა“. ასევე, ისაუბრა თბილისში არსებულ საცობებზე და აღნიშნა, რომ დღეს, თავისუფლების მოედანზე სცენის მოწყობის გამო, რუსთაველის გამზირზე გადაადგილება წარმოუდგენელი იყო და განაცხადა, რომ ძალიან კარგია, როდესაც დამოუკიდებლობის დღის აღსანიშნავად მუნიციპალიტეტი აწყობს კონცერტს, მაგრამ ყოველ დღესასწაულზე გვაქვს ერთი და იგივე - გაუთავებელი საცობები და სცენის აწყობა-დაშლა, რაშიც იხარჯება საკმაოდ დიდი თანხა. აქედან გამომდინარე, დაინტერესდა, რატომ არ შეიძლება, რომ შევთანხმდეთ, გამოვყოთ ერთი კონკრეტული ადგილი, თუნდაც რიყის პარკი, სადაც მუდმივად დადგება სცენა და მოეწყობა სადღესასწაულო კონცერტები, რითიც ძალიან ბევრ ხარჯს და დისკომფორტს ავირიდებთ თავიდან.

კახაბერ ლაბუჩიძემ განაცხადა, რომ ქართველი ხალხი ძალიან დაიღალა იმ პოლიტიკით, რომელსაც აწარმოებს „რადიკალური ოპოზიცია“. მისი თქმით, არანაირ ლოგიკაში არ ჯდება ის, თუ რატომ არ უნდა შეეძლოს ადამიანს რუსეთიდან საქართველოში საჰაერო გზით შემოსვლა მაშინ, როდესაც სახმელეთო საზღვრით შემოსვლა, შესაბამისი პროცედურების გავლით, შეუძლია ნებისმიერ ადამიანს და რადგან ოპოზიციას ამ კუთხით არაფერი გამოუვიდა, მიმართა სხვა ხერხს - დაახლოებით ერთი საათია, ორი ოპოზიციური არხი: „ტვ პირველი“ და „მთავარი“ ავრცელებს ბინძიურ ჩანაწერებს, რომ თითქოს რუსეთიდან საქართველოს მიმართულებით პირველი რეისი შესრულდა ქართული ცეკვებით, სინამდვილეში კი ეს არის 2021 წლის უკრაინის რეისის კადრები, რომლითაც მგზავრობდა ანსამბლი „სუხიშვილები“, რომელმაც, ბორტგამცილებლებთან ერთად, დადგა ფლეშ-მობი და განაცხადა, რომ სირცხვილია ასეთი მეთოდებით ბრძოლა ქართველი ხალხის წინააღმდეგ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა დღის წესრიგი წარმოდგენილი სახით:

დღის წესრიგი:

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“;

მომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: გაიოზ თალაკვაძე

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის „ქ.თბილისი, ატენის ქ.N16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ.N23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ“ საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე“;

მომხსენებელი: დავით კვინიკაძე
თანამომხსენებელი: გიორგი ტყემალაძე

4. „ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო შეთანხმების გაფორმების მიზნით თანხმობის მიცემის შესახებ“;

მომხსენებელი: ვახტანგ ლომჯარია

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08.10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ.: 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი გვილავა

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ლომინაძე

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: სერგო ბირკაძე

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ქვარა ჩართოლანი

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: დავით ჯაიანი

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A“ კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ვასილ აბულაძე

12. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

13. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

14. „ქალაქ თბილისში, სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

15. „ქალაქ თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.015.001.01.628) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

16. „ქალაქ თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.02.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

17. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი საკაძის ქუჩა N30-ში მდებარე 100.79 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.501) და 49.73 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

18. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში არსებული 65.87 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

19. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის მე-4 შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.462.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

20. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

21. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.067.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

22. „ქ.თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ.: N01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

23. „ქ.თბილისში, გიორგი ბრწინვალეს ქუჩა N49-ში არსებული 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.299) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის IV ჩიხი, N3-ში არსებული 74 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.035.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

25. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში არსებული 92.13 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

26. „ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

27. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.874.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

28. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.587) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

29. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

30. „ქ.თბილისში, შატილის ქუჩა N4-ში მდებარე 45 870 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.03.005.008) უძრავი ქონებისა და ქ.თბილისში, შატილის ქუჩაზე მდებარე 8 804 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.03.005.009) მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

31. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს“ (ს/წ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში“ ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

32. „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „კაიძენ სპორტს“ (ს/წ. 202365546) შორის 2010 წლის 27 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შემენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

34. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

35. „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ“ ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის N12.25.259 დადგენილებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

36. „ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.58.011.006) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

37. „ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica“-სთვის (ს/წ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

38. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08“-ისთვის (ს/წ. 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

39. „ქ.თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/წ. 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

40. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ N01.14.10.001.088, N01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008“-ისთვის (ს/კ.: 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

41. „ქ.თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.059.100) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-ისთვის (ს/ნ. 205303795) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

42. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.10.15.010.045) 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-სთვის (ს/ნ. 405428194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

43. „ქ.თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.18.03.064.079; N01.18.03.064.080; N01.18.03.062.122) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სოთოსთვის“ (ს/ნ. 405108226) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

44. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედითვის“ (ს/კ.: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

45. „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის“ (ს/ნ: 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

46. „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ.: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის“ (ს/კ.: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“;

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

47. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის

დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

48. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის" N9-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე";

მომხსენებელი: ირაკლი თავართქილაძე

49. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ქეთევან კანდელაკიშვილი

50. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე
თანამომხსენებელი: სერგო ბირკაძე

51. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

52. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

53. „ქ.თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

54. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

55. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.131; N01.14.06.004.002-ის ნაწილი) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

56. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/052) (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.052) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე";

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

57. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.28.217; N72.16.28.294; N72.16.28.258) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

58. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.811; N72.16.23.938; N72.16.23.937; N72.16.23.219-ის ნაწილი; N72.16.23.936; N72.16.15.742; N72.16.23.980; N72.16.23.978; N72.16.23.977; N72.16.23.348-ის ნაწილი; N72.16.15.812; N72.16.15.808; N72.16.15.741; N72.16.23.979; N72.16.23.410; N72.16.15.907; N72.16.15.908; N72.16.15.909; N72.16.23.067; N72.16.23.068; N72.16.15.911; N72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

59. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N6, N7, მარშალ გელოვანის გამზირი N23გ, N27, N23, N23ა, N23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N118 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

60. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N396 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

61. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16 სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

62. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.N07/049) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.889) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

63. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.N07/049) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.888) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

64. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.897-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

65. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.897-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

66. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.18.079; N81.02.18.795; N81.02.18.786; N81.02.18.787; N81.02.18.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

67. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N18-ში (ნაკვ. 85/28) (ნაკვ. 85/18); ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ახალდაბის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი N1 და ნაკვეთი N2) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.085.028; N01.20.01.085.054; N01.20.01.085.056; N01.20.01.085.055; N01.20.01.085.035) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

68. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.N07/048), ქიზიყის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.275; N01.19.24.007.803) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლოჯისტიკური და საოფისე ცენტრის (საწყობები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

69. „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, N18-22 (ნაკვეთი N7/33), (ნაკვეთი N7/36), N22დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.007.076; N01.18.12.007.075; N01.18.12.007.126; N01.18.12.007.093) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“;

მომხსენებელი: ოთარ ჩიტიძე

70. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „შიზის“ (ს/კ.: 406368728) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

71. „მისამართზე - ქ.თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლეხ კაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაინტერესებული პირის შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ. 454407721) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

72. „მისამართებზე - ქ.თბილისი, საირმის ქუჩა N37 (ს/კ.: N01.10.14.024.036); ქ.თბილისი, მუხამის ქ.N4 (ს/კ.; N01.14.11.024.004); ქ.თბილისი ი.აბაშიძის ქ. N55 (ს/კ. 01.14.11.024.012) მდებარე ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“;

მომხსენებელი: ლევან ჟორჟოლიანი

73. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩისთვის ექიმის, ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

74. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

75. „ქალაქ თბილისში, ნაძალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორისთვის მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

76. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, I ჩიხის მონაკვეთისთვის და ილორის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

77. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აშოტ კურაპალატის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის კრავაი ჯაყელის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

78. „ქალაქ თბილისში, ისნისა და სამგორის რაიონებში, უძოს ქუჩის შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

79. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ინჟინრის ბარბარე ბაირამაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

80. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეზღვაურის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

81. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I შესახვევისთვის კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

82. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის ბარბარე ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

83. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის მსახიობების თამარ ჭავჭავაძის და ცეცილია წუწუნავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

84. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთებისთვის მფრინავის ნინა ხუბულავას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

85. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთისთვის მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

86. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოესის ქუჩისთვის დიპლომატის რუსუდან მიქელაძის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

87. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ცუცხვათის ქუჩისთვის პოეტის მარიამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“;

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

88. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძევერას ქუჩისთვის მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ“.

მომხსენებელი: ნინო ვარდოსანიძე

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

1. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის არჩევის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, ფრაქციამ „ქართული ოცნება - დემოკრატიული საქართველო“ სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა კომისიის თავმჯდომარის თანამდებობაზე წარადგინა გურამ ოქროპირიძის კანდიდატურა, რომელიც არის გამორჩეული პროფესიონალი და მისი საქმიანობა ამ პოზიციაზე იქნება ძალიან წარმატებული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 32

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

2. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის 2023 წლის ბიუჯეტის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 28 დეკემბრის N19-118 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

მერიის საფინანსო საქალაქო სამსახურის უფროსმა გაიოზ თალაკვაძემ და აღნიშნა, რომ ბიუჯეტის მოცულობა იზრდება 26614000 ლარით, საიდანაც 150000 ლარი არის გრანტების დამატებით გამოწვეული და წარმოდგენილი ზრდის შედეგად, თბილისის 2023 წლის ბიუჯეტის მთლიანი მოცულობა იქნება 1803072000 ლარი. წარმოდგენილი ზრდა პრიორიტეტების მიხედვით გადანაწილებულია შემდეგნაირად: სატრანსპორტო ინფრასტრუქტურის მშენებლობა-აღდგენა - 9723000 ლარი; ეკოლოგიური მდგომარეობის შენარჩუნება და გაუმჯობესება - 4265000 ლარი; ბინათმესაკუთრეთა ამხანაგობების განვითარება - 1356000 ლარი; ჯანდაცვის და სოციალური უზრუნველყოფის მიმართულება - 1880000 ლარი; განათლება - 60000 ლარი; კულტურა, სპორტი, ახალგაზრდობა - 3458000 ლარი; თბილისის წარმომადგენლობითი და აღმასრულებელი ორგანოები - 5342000 ლარი. აქვე აღნიშნა, რომ საკრებულოს ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალურ საკითხთა და ქონების მართვისა და საფინანსო-საბიუჯეტო კომისიების რეკომენდაციით, ცვლილება შედის ჯანმრთელობის დაცვის ერთ-ერთ პროგრამაში, კერძოდ, შინმოვლის დაფინანსებაში, ბართელის შკალის შესაბამისად, ინდექსის მინიჭების ღირებულება 8 ლარიდან იზრდება 9 ლარამდე.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ პარტიას „ხალხისთვის" საკრებულოში წარდგენილი აქვს საკანონმდებლო წინადადება, რომელიც ითვალისწინებს, თბილისის საკრებულოსა და მერიის მიერ განხორციელებულ სახელმწიფო შესყიდვებში, პრეტენდენტის შესარჩევ ერთ-ერთ კრიტერიუმად, კონკრეტულ კომპანიებში ღირსეული შრომითი ანაზღაურების პირობების განსაზღვრას და განაცხადა, რომ მნიშვნელოვანია აღნიშნული ინიციატივის განხილვა, რადგან ჩვენი ქვეყნის მოსახლეობისთვის ძალიან მნიშვნელოვანი პრობლემაა დაბალი ხელფასები და ზოგადად, ღირსეული ანაზღაურება. მისი თქმით, ქვეყანაში გაზრდილი ფასებისა და ზოგადად, არსებული ეკონომიკური მდგომარეობის გათვალისწინებით, იანვარში განხორციელებულმა ხელფასების 10%-იანმა ზრდამ ვერ შეცვალა არსებული რეალობა და აქედან გამომდინარე, ბიუჯეტის ზრდის ფონზე, შესაძლებელია საკრებულომ და მერიამ იმსჯელოს ბიუჯეტით დაფინანსებულ სამსახურებში დასაქმებულთა ხელფასების გაზრდაზე.

გაიოზ თალაკვაძემ აღნიშნა, რომ საკმაოდ საინტერესო ინიციატივაა, თუმცა აღნიშნული სცდება მუნიციპალიტეტის კომპეტენციას, რადგან შესყიდვების კუთხით, საჭირო იქნება საკანონმდებლო ცვლილებები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყარე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

3. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტსა და ჩინეთის საელჩო საქართველოში შორის „ქ.თბილისი, ატენის ქ.N16-ში მდებარე სპორტული მოედნის რეაბილიტაციისა და წყნეთი, აფხაზეთის ქ.N23-ში ორი კომპლექსი ფიტნეს ტრენაჟორის მოწყობის შესახებ" საგრანტო ხელშეკრულების პროექტის მოწონების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ და აღნიშნა, რომ გრანტის მოცულობა არის 130000 ლარი, რაც გათვალისწინებულია ვაკის რაიონში, ატენისა და აფხაზეთის ქუჩებზე სტადიონების და ტრენაჟორების მოწყობისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

4. „ევროპის საბჭოსა და ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტს შორის საგრანტო შეთანხმების გაფორმების მიზნით თანხმობის მიცემის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ეკონომიკური განვითარების საქალაქო სამსახურის უფროსმა ვახტანგ ლომჯარიამ და განმარტა, რომ გრანტის მოცულობა არის 19550 ლარი, რაც გათვალისწინებულია ეთნიკური უმცირესობების წარმომადგენლებისა და ლიდერებისთვის თბილისის მუნიციპალიტეტის სხვადასხვა სერვისებთან დაკავშირებით ინფორმაციის მიწოდებისთვის, კერძოდ: საქმიანობასთან, განათლებასთან, ჯანდაცვასთან, სოციალურ მომსახურებასთან და ა.შ. დაკავშირებით, რის შემდეგაც, მათი მხრიდან, ამას ექნება გაგრძელება საკუთარ თემებში გარცელების კუთხით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 19

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყარე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 31

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

5. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ბიუჯეტის პროგრამის „საჯარო ხელოვნების ხელშეწყობა“ (კოდი: 08.10) ფარგლებში ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „საჯარო ხელოვნების ფონდის“ (ს/ნ.: 405605484) მიერ კონკურსის ჩატარების წესის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის კულტურის, განათლების, სპორტისა და ახალგაზრდულ საქმეთა საქალაქო სამსახურის უფროსმა ირაკლი გვილავამ და განმარტა, რომ წესით წარმოდგენილია ის პროცედურები და საკითხები, რომლებიც საჭიროა ა(ა)იპ „საჯარო ხელოვნების ფონდის“ მიერ კონკურსების ჩატარებისას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

6. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრაციისა და თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის წესის დამტკიცების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის ჯანმრთელობის დაცვისა და სოციალური მომსახურების საქალაქო სამსახურის წარმომადგენელმა ნინო ლომინაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია რამდენიმე ცვლილება: გამიჯნულია უსახლკარო პირად და უსახლკარო ოჯახად რეგისტრაციის კრიტერიუმები, დეტალურად გაწერილია საცხოვრისით დაკმაყოფილების და თავშესაფრით დაკმაყოფილების წესი. ასევე, გარკვეული ცვლილებები იქნა შეტანილი ქონების რეალიზაციიდან მიღებულ თანხებთან დაკავშირებით, კერძოდ, არსებული რეგულაციით, თუ პირი ფლობდა რაიმე სახის ქონებას, ცალსახად ეთქმებოდა უარი, ხოლო წარმოდგენილი ცვლილებით, აღნიშნული აღარ იქნება დამაბრკოლებელი გარემოება იმ შემთხვევაში, თუ რეალიზაციით მიღებული თანხა არ იქნება საკმარისი საცხოვრისით უზრუნველყოფისთვის.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 29

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

7. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის საჯარო სამართლის იურიდიული პირის - ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს წესდების (დებულების) დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-56 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, იცვლება ცხოველთა მონიტორინგის სააგენტოს ადმინისტრაციული შენობის იურიდიული მისამართი.

ანა გოგოლაძე დაინტერესდა, თუ რა იყო წინა ადმინისტრაციული შენობის საიჯარო ღირებულება.

სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ წინა ადმინისტრაციული შენობის ყოველთვიური საიჯარო ქირა იყო 6220 ა.შ.შ. დოლარი დღგ-ს ჩათვლით, რაც დღგ-ს გარეშე გამოდის 5000 ა.შ.შ. დოლარი.

ანა გოგოლაძემ აღნიშნა, რომ ახალი ადმინისტრაციული შენობის წლიური საიჯარო ქირისთვის გამოყოფილია 75000 აშ.შ. დოლარი, რაც ნიშნავს იმას, რომ აღნიშნული შენობის ყოველთვიური გადასახადი გამოდის 16000 ლარი და დაინტერესდა, რა სხვაობაა ძველ და ახალ ადმინისტრაციულ შენობებს შორის, როგორ მოხდა ამ შენობის შერჩევა და შენობის შერჩევისას რატომ არ იქნა გათვალისწინებული თუნდაც სტერილიზაციის შენობის ახლომდებარე ლოკაცია.

გიორგი კობიაშვილმა განმარტა, რომ ადმინისტრაციული შენობის შერჩევა მოხდა ფასთა კვლევის შედეგად და იქიდან გამომდინარე, თუ რამდენი დასაქმებულია ადმინისტრაციულ ოფისში. მისი თქმით, ამ ეტაპზე დასაქმებულია 35 ადამიანი და შენობა შეირჩა კვადრატულობის მიხედვით. რაც შეეხება ახლო ლოკაციას, მისი თქმით, სტერილიზაციის შენობის მიმდებარე ტერიტორიაზე არ იყო შესაბამისი ფართი და აქედან გამომდინარე, სააგენტო იწყებს იმაზე ფიქრს, რომ დაიწყოს საკუთარი შენობის მშენებლობა, რათა იქ განთავსდნენ ადმინისტრაციის თანამშრომლები და ამასთანავე, სააგენტოს გადასახდელი აღარ ექნება საიჯარო ქირა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

8. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე ავარიული მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების ჩანაცვლების წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 6 მაისის N10-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა თბილისის განვითარების ფონდის დირექტორის მოადგილე ქვარა ჩართოლანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილება გულისხმობს მიმდინარე საპროექტო ტერიტორიის მიმდებარედ ცალკე მდგომი ავარიული შენობის ჩართვას პროექტში, თუ მასზე ზეგავლენას გამოიწვევს ან მოსალოდნელი იქნება ზეგავლენა გამოიწვიოს არსებული შენობის დემონტაჟმა ან ახალმა მშენებლობამ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 3

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

9. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_2 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-47 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილ და მომდევნო საკითში ცვლილებები გამოწვეულია ერთი და იგივე მიზეზებით, კერძოდ: სახელდების ცვლილებების ასახვით, რიგი მარშრუტების წრიულ მოძრაობაზე გადაყვანით, ახალი მარშრუტების დამატებით და ინტერვალის კორექტირებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

10. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ადმინისტრაციულ საზღვრებში რეგულარული სამგზავრო გადაყვანის მიზნით ავტობუსების (M_3 კატეგორია) მარშრუტების დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 12 დეკემბრის N17-48 დადგენილებაში ცვლილების შეტანის შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე დავით ჯაიანმა და აღნიშნა, რომ ამ შემთხვევაშიც ცვლილებები გამოწვეულია წინა საკითხში ჩამოთვლილი მიზეზებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

11. „საქართველოს დედაქალაქის ადმინისტრაციულ საზღვრებში მსუბუქი ავტომობილით – ტაქსით (M_1 კატეგორია) გადაყვანის სანებართვო პირობების, ნებართვის გაცემის, ნებართვის მოქმედების ვადის, ნებართვის გაცემის ფასისა და მისი გადახდის, სანებართვო მოწმობის ფორმის, სამარშრუტო სატრანსპორტო საშუალების მოძრაობისათვის განკუთვნილ ზოლში „A" კატეგორიის მსუბუქი ავტომობილის - ტაქსის (M_1 კატეგორია) მოძრაობის ან/და მგზავრთა ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით გაჩერების ადგილების და პირობების, მომხმარებლის პირადი სივრცის უზრუნველყოფის, ნებართვის მქონე პირების შესახებ ერთიანი საინფორმაციო ბაზის შექმნის, განახლების და დამუშავების წესის განსაზღვრის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2018 წლის 27 ივლისის N24-80 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ვასილ აბულაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი ცვლილებით ტაქსის მძღოლებს ეძლევათ შესაძლებლობა გადავიდნენ ავტობუსის ზოლში მგზავრების ჩასხდომა-გადმოსხდომის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

12. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონის ფორმით პრივატიზების წესის დამტკიცების შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2014 წლის 22 დეკემბრის N19-72 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი პროექტით რამდენიმე ტექნიკური ხასიათის ცვლილება შედის მუნიციპალიტეტის ქონების აუქციონით პრივატიზების წესში, კერძოდ, ხსენებული ცვლილებები შედის წესის იმ ნაწილში, სადაც გაწერილია, რომ გამგეობებს აქვთ შესაძლებლობა, წლის დასაწყისში, წინასწარ, ერთი წლით გამოაცხადონ აუქციონი კონკრეტულ ერთეულებზე, მოცულობაზე ან წონაზე, რის შემდეგაც აღარ მოუწევს ცალ-ცალკე აუქციონის გამოცხადება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

13. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების

საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 154 კვ.მ. ფართის გადაცემა ორი ოჯახისთვის, რომლებიც 2011 წლიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

14. „ქალაქ თბილისში, სოფელი წინუბანი, იალნოს ქუჩა N9-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.09.513.02.503) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 71 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1998 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

15. „ქალაქ თბილისში, რევაზ ლაღიძის ქუჩა N2-ში (საკადასტრო კოდი: N01.15.04.015.001.01.628) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საერთო სარგებლობის 23 კვ.მ. ფართის გადაცემა ამხანაგობისთვის „რევაზ ლაღიძე 2“.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

16. „ქალაქ თბილისში, თამაზ თოხაძის ქუჩა N15-ში (საკადასტრო კოდი: N01.13.07.021.125.02.502) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 16 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

17. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გიორგი საკაძის ქუჩა N30-ში მდებარე 100.79 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.501) და 49.73 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.20.01.056.005.02.507) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 150 კვ.მ. ფართის გადაცემა ხუთი ოჯახისთვის, რომლებიც 1991-93 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

18. „ქალაქ თბილისში, საინგილოს ქუჩა N61-ში არსებული 65.87 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.17.02.059.047.01.003) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 65 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2002 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

19. „ქალაქ თბილისში, სოფელ დიდ ლილოში, ერეკლე II-ის ქუჩის მე-4 შესახვევი N2-ში (საკადასტრო კოდი: N81.08.21.462.01.505) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 83 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

20. „ქალაქ თბილისში, ფონიჭალის დასახლებაში, მე-3ა მიკრორაიონის კორპუს N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.18.13.021.001.01.002) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი

განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 59 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

21. „ქალაქ თბილისში, ევროპის I ჩიხი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.15.001.067.01.500) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 85 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2004 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

22. „ქ.თბილისში, ვაზისუბნის IV მ/რ-ის მიმდებარედ არსებული უძრავი ქონების (ს/კ.: N01.17.07.030.022) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 12306 კვ.მ. მიწის ნაკვეთის, მასზე განთავსებული მოედნების და შენობა-ნაგებობების გადაცემა საქართველოს რაგბის კავშირისთვის, სარაგბო ინფრასტრუქტურის განვითარების მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

23. „ქ.თბილისში, გიორგი ბრწინვალეს ქუჩა N49-ში არსებული 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.10.06.001.299) პირდაპირი განკარგვის ფორმით *პრივატიზების* საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 19226 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გადაცემა საქართველოს რაგბის კავშირისთვის, სარაგბო და სპორტული ინფრასტრუქტურის მოწყობის მიზნით. აღსანიშნავია, რომ ხსენებული მიწის ნაკვეთი იყო კერძო საკუთრება და მუნიციპალიტეტმა, სახელმწიფოს დახმარებით, შეძლო მისი გამოსყიდვა და ისევ რაგბის კავშირისთვის დაბრუნება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

24. „ქალაქ თბილისში, სოფელ ოქროყანაში, მირზა გელოვანის IV ჩიხი, N3-ში არსებული 74 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N01.15.08.001.035.01.004) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 74 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 1990 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

25. „ქალაქ თბილისში, დაბა კოჯორში, გალაკტიონ ტაბიძის ქუჩა N10-ში არსებული 92.13 კვ.მ. უძრავი ქონების (საკადასტრო კოდი: N81.01.05.883.01.502) პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 92 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2000 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

26. „ქალაქ თბილისში, რქაწითელის ქუჩა N12-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.33.015.086.01.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 56 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

27. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N32-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.874.02.501) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 20 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2009 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

28. „ქალაქ თბილისში, ბესარიონ ქებურიას დასახლებაში, კორპუსი N3-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.002.018.01.587) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 43 კვ.მ. ფართის გადაცემა ერთი ოჯახისთვის, რომელიც 2008 წლიდან ცხოვრობს აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

29. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილი N75-ში (საკადასტრო კოდი: N01.19.25.001.011) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია 46 კვ.მ. ფართის გადაცემა სამი ოჯახისთვის, რომლებიც 1968-2006 წლებიდან ცხოვრობენ აღნიშნულ მისამართზე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

30. „ქ.თბილისში, შატილის ქუჩა N4-ში მდებარე 45 870 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.03.005.008) უძრავი ქონებისა და ქ.თბილისში, შატილის ქუჩაზე მდებარე 8 804 კვ.მ. (საკადასტრო კოდი: N01.12.03.005.009) მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხისა და შესაბამისი ხელშეკრულების პირობების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ 2008 წელს შპს „სპორტულ კლუბ დუჩის“ გადაეცა ორი მიწის ნაკვეთი, 2200000 ლარის ინვესტიციის განხორციელების და ათი წლით სპორტული ფუნქციის შენარჩუნების ვალდებულებით. ხოლო ათი წლის გასვლის შემდეგ, შპს შეძლებდა

ამ მიწის ნაკვეთების განვითარებას ფუნქციური ზონის შესაბამისად, რაც ამ შემთხვევაში გულისხმობდა კორპუსების მშენებლობას. მუნიციპალიტეტსა და კომპანიას შორის გამართული მოლაპარაკებების შედეგად, წარმოდგენილია შეთანხმება, რომლის შესაბამისად, აღნიშნულ ტერიტორიაზე დარჩება სპორტული ფუნქციის მუდმივი შეზღუდვა, ვერ განვითარდება სხვა ფუნქციით და ამასთანავე, კომპანია განახორციელებს დამატებით 200000 ლარის ინვესტიციას ორი წლის განმავლობაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

31. „ქალაქ თბილისის თვითმმართველ ერთეულსა და შპს „სასკოს" (ს/ნ. 205045636) შორის 2008 წლის 18 იანვარს გაფორმებულ „უძრავი ქონების ნასყიდობისა და იპოთეკის ხელშეკრულებაში" ცვლილებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის წინა საკითხის მსგავსი და ამ შემთხვევაშიც შპს „სასკოსთან" გაფორმებული ხელშეკრულება ითვალისწინებდა ტერიტორიის განვითარებას სპორტული დანიშნულებით და სპორტული ფუნქციის შენარჩუნების ვალდებულებას. 2020 წელს ხელშეკრულებაში განხორციელდა ცვლილებები, როდესაც შპს-ს ნაწილობრივ დაუდასტურდა ვალდებულებების შესრულება და დარჩა სპორტული ფუნქციის შენარჩუნება. ამ ეტაპზე, წარმოდგენილია საცხოვრებელი ფუნქციის დაშვება, თუმცა, არსებული სპორტული ფუნქცია იზრდება 50%-ით და დამატებით განხორციელდება 2100000 ლარის ინვესტიცია. გარდა ამისა, აღსანიშნავია ისიც, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ეროვნული ბიუროს დასკვნის თანახმად, პირობის ცვლილება გამოიწვევს მიწის ნაკვეთის ფასის გაზრდას 1098330 ლარის ოდენობით, რასაც კომპანია გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან სამი თვის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

32. „ქ.თბილისის თვითმმართველი ერთეულის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი მიყიდვის ფორმით ნასყიდობის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობასა და შპს „კაიძენ სპორტს" (ს/ნ. 202365546) შორის 2010 წლის 27 სექტემბერს დადებულ ხელშეკრულებაში ცვლილებებისა და დამატებების შეტანის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი არის წინა საკითხების მსგავსი და ამ შემთხვევაშიც შპს „კაიძენ სპორტს" მიწის ნაკვეთები გადაცემული ჰქონდა სპორტული მიმართულებით განვითარების მიზნით, თუმცა, ამ შემთხვევაში სპორტული ობექტები ნორმალურ მდგომარეობაშია და არ საჭიროებს დამატებითი ინვესტიციის განხორციელებას. აქედან გამომდინარე, წარმდგენილია შეთანხმება, რომლის თანახმადაც ათწლიანი ვალდებულება იცვლება მუდმივ ვალდებულებად და განისაზღვრება, რომ მიწის ნაკვეთებზე მუდმივად შენარჩუნდება სპორტული ფუნქცია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

33. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიაზე უსახლკაროდ რეგისტრირებულ პირთა თავშესაფრით/საცხოვრისით უზრუნველყოფის მიზნით, უძრავი ქონების შეძენაზე ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობისათვის თანხმობის მიცემის შესახებ" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2022 წლის 15 თებერვლის N22 განკარგულებაში ცვლილების შეტანის შესახებ" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მუნიციპალიტეტმა დაიწყო პროგრამა, რომლის ფარგლებშიც უსახლკაროებისთვის ყიდულობს საცხოვრებელ ფართებს. ამ მიზნით შემუშავებული დღეს მოქმედი წესის თანახმად, 1 კვ.მ.-ს ღირებულება არ უნდა აღემატებოდეს 750 ა.შ.შ. დოლარს, თუმცა, არსებული რეალობიდან გამომდინარე, პროექტით წარმოდგენილია ხსენებული ფასის გაზრდა 900 ა.შ.შ. დოლარამდე, რათა მუნიციპალიტეტმა უფრო სწრაფად და ეფექტურად შეძლოს ბინების მოძიება, უსახლკაროებისთვის გადაცემის მიზნით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

34. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085) მდებარე უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების თაობაზე" ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის მთავრობის 2022 წლის 30 ნოემბრის N22.1819.1958 განკარგულების ნაწილობრივ ძალადაკარგულად გამოცხადებისა და ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, მე-3 მასივში (საკადასტრო კოდი: N01.19.20.020.085.01.527) არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია ტექნიკური ხასიათის ცვლილება, კერძოდ, 2022 წელს მუნიციპალიტეტმა ერთ-ერთ მისამართზე საცხოვრებელი ფართი დაუკანონა ორ ოჯახს, თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ ფართები ტექნიკურად იყო არეული, მათი დაკანონება მოხდა შეცდომით და ამ ეტაპზე წარმოდგენილია ხსენებული ხარვეზის შესწორება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

35. „საქართველოს საპატრიარქოსათვის ოქროყანაში ტაძრის ასაშენებლად მიწის ნაკვეთის დამაგრების შესახებ" ქალაქ თბილისის მთავრობის 1999 წლის 07 ოქტომბრის N12.25.259

დადგენილებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია საქართველოს საპატრიარქოსთვის გადაცემული მიწის ნაკვეთისთვის ფუნქციის ცვილება, კერძოდ, 1999 წელს, საპატრიაქროს, ოქროყანაში გადაეცა 12236 კვ.მ. მიწის ნაკვეთი ტაძრის მშენებლობის პირობით. ამ ეტაპზე წარმოდგენილია თხოვნა, რომ ამ ტერიტორიიდან, 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთს მოეხსნას ეს პირობა, რათა საპატრიარქომ შეძლოს აღნიშნული 6000 კვ.მ. მიწის ნაკვეთის გაცვლა მცხეთაში, სამთავროს მონასტრის მომიჯნავედ, კერძო საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთში, სადაც აღმოჩენილი იქნა რელიგიური და კულტურული ღირებულებების ძველი ნაშთები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

36. „ქალაქ თბილისში, სოფელი ლისის მიმდებარე ტერიტორიაზე, ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4900 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.72.58.011.006) გაცვლის ფორმით პრივატიზების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია კერძო საკუთრებაში არსებული ოთხი მიწის ნაკვეთის და მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული ერთი მიწის ნაკვეთის მონაცვლეობა. კერძო საკუთრებაში არსებული მიწის ნაკვეთების მისამართები და ფართებია: ალექსიძის ქუჩა, პირველი შესახვევი N5 - 279 კვ.მ., ალექსიძის შესახვევი N7 - 485 კვ.მ, ბაგების სატყეო უბანი - 1000 კვ.მ. და ზღვისუბნის დასახლება - 716 კვ.მ., რომელთა ჯამური ღირებულება არის 1772000 ლარი. ხოლო მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული 4900 კვ.მ. მიწის ნაკვეთი მდებარეობს სოფელი ლისის მიმდებარედ, რომლის საბაზრო ღირებულება არის 1862000 ლარი. ფასთა შორის სხვაობა არის 90000 ლარი, რასაც კერძო მესაკუთრე გადაიხდის ხელშეკრულების გაფორმებიდან ერთი წლის ვადაში.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 3

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ წარმოდგენილი საკითხის წინააღმდეგია, თუმცა, ვერ მოასწრო კენჭისყრაში მონაწილეობის მიღება და ითხოვა თავისი ხმის დაფიქსირება კენჭისყრის შედეგებში.

37. „ქ.თბილისში, შარდენის ქუჩაზე რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ: N01.18.03.061.038) 14 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „Organica“-სთვის (ს/ნ: 400056461) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2023 წლის 9 აგვისტომდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4200 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

38. „ქ.თბილისში, გიორგი ათონელის ქუჩა N19-ში არსებული 788 კვ.მ. მიწის ნაკვეთიდან 9 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.04.020.039) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „კონუსი 08"-ისთვის (ს/წ. 206330861) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 2700 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 16

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყარე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

39. „ქ.თბილისში, შოთა რუსთაველის გამზირი N34-ის მიმდებარედ 8 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.15.05.009.038) პირდაპირი განკარგვის წესით გიორგი ისაკაძისთვის (პ/წ. 60003010441) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 1 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1920 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 2

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

40. „ქ.თბილისში, ილია ჭავჭავაძის გამზირი N78-ის მიმდებარედ N01.14.10.001.088, N01.14.10.001.089 საკადასტრო კოდებით რეგისტრირებული მიწის ნაკვეთების პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ანტრე 2008"-ისთვის (ს/კ.: 204549792) იჯარის ფორმით სარგებლობის

უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1200 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

41. „ქ.თბილისში, შატბერაშვილის ქუჩა N7-ის მიმდებარედ 10 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.14.11.059.100) ინდივიდუალური ბინათმშენებლობის ამხანაგობა „თბილისი სითი 2015“-ისთვის (ს/ნ. 205303795) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში კიბის უჯრედის მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 5 წელი, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 1440 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

42. „ქ.თბილისში, ვაჟა-ფშაველას გამზ. N18-26-ის მიმდებარედ რეგისტრირებული მიწის ნაკვეთიდან (ს/კ. N01.10.15.010.045) 48 კვ.მ. მიწის ნაკვეთის პირდაპირი განკარგვის წესით შპს „ჩეხური ლუდის სახლი 1“-სთვის (ს/ნ. 405428194) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის მოქმედების ვადა არის 2025 წლის 8 მარტამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 11520 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

43. „ქ.თბილისში, გორგასლის ქუჩა 1-ის მიმდებარედ არსებული მიწის ნაკვეთების (საკადასტრო კოდები: N01.18.03.064.079; N01.18.03.064.080; N01.18.03.062.122) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სოთოსთვის“ (ს/ნ. 405108226) იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება, შემდგომში ღია კაფეს მოწყობის მიზნით. იჯარის

მოქმედების ვადა არის 2024 წლის აპრილამდე, ხოლო წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 4800 ლარს.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

44. „ქალაქ თბილისში, ილორის ქუჩა N14-ში, 1 სართულზე არსებული 545.99 კვ.მ. ფართის (საკადასტრო კოდი: N01.11.05.035.010.01.506) პირდაპირი განკარგვის წესით შპს „სამედიცინო ცენტრი დიომედითვის" (ს/კ.: 206269045) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის საკითხის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ილორის ქუჩა N14-ში მდებარე 545 კვ.მ. ფართი რამდენიმე წელია სარგებლობის უფლებით გადაცემული აქვს შპს-ს „სამედიცინო ცენტრი დიომედი", რომელიც არის აფხაზეთის მთავრობის დაქვემდებარებაში და ემსახურება დევნილებს. მუნიციპალიტეტის მხრიდან შპს-სთვის ფართის გადაცემა ხორციელდება 2-2 წლის ვადით და შესაბამისად, ამ ეტაპზე წარმოდგენილია განახლება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

45. „ქალაქ თბილისში, ევროპის მოედნის მიმდებარედ არსებული 963 კვ.მ მიწის ნაკვეთიდან 11 კვ.მ. მიწის ნაკვეთის (საკადასტრო კოდი: N01.17.01.090.023) პირდაპირი განკარგვის წესით არასამეწარმეო (არაკომერციული) იურიდიული პირის „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის" (ს/ნ: 405606143) უსასყიდლო უზუფრუქტის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემის შეთანხმების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ა(ა)იპ „დავით სარაჯიშვილის საგამოფენო პავილიონისთვის" მიწის ნაკვეთის გადაცემა ხორციელდება ევროპის მოედნის მიმდებარედ, მცირე ზომის პავილიონის განთავსების მიზნით, რაზეც კულტურული მემკვიდრეობის დაცვის საბჭოს აქვს დადებითი პოზიცია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

46. „სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ.: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის წესით, იჯარის ფორმით სარგებლობის უფლებით გადაცემისა და „სს „თიბისი ბანკისთვის" (ს/კ.: 204854595) ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკუთრებაში არსებული უძრავი ქონების პირდაპირი

განკარგვის წესით, სარგებლობის უფლებით, იჯარის ფორმით გადაცემის თაობაზე“ სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2018 წლის 15 ოქტომბრის №61.01182883 ბრძანებით გათვალისწინებული საიჯარო ქირის გადახდის ვადის დარღვევის შედეგად დაკისრებული პირგასამტეხლოსგან გათავისუფლების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია სს „თიბისი ბანკისთვის“ უძრავი ქონების იჯარით გადაცემა, კერძოდ: 15 ბანკომატის ადგილი და მერიის ცენტრალურ შენობაში განთავსებული სერვისცენტრის ტერიტორია. წლიური საიჯარო ქირა შეადგენს 51120 ლარს. აღსანიშნავია, რომ ძველი ხელშეკრულებით გადასახდელი პირგასამტეხლო დარჩენილი იყო 3535 ლარი, რომლის პატიებაც არის წარმოდგენილი, თუმცა, აღნიშნული თანხა მოხმარდება მერიის შენობაში არსებული სერვისცენტრის გარემონტებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

47. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საჯარო სამართლის იურიდიულ პირს - ქონების მართვის სააგენტოსა და ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციას (ს/ნ. 201990079) შორის 2019 წლის 28 ოქტომბერს გაფორმებული „უძრავი ქონების პირდაპირი განკარგვის ფორმით პრივატიზების შესახებ ხელშეკრულებით“ ნაკისრი ვალდებულების დარღვევისთვის დაკისრებული პირგასამტეხლოსგან ა(ა)იპ - საქართველოს ფეხბურთის ფედერაციის (ს/ნ. 201990079) გათავისუფლების საკითხის შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ ნუცუბიძის IV მიკრორაიონში, 102-ე საჯარო სკოლასთან დიდი ხანია დასრულებულია სტადიონის მშენებლობა, რომელიც დღეის მდგომარეობით უკვე ფუნქციონირებს, თუმცა მის ექსპლოატაციაში მიღებასთნ დაკავშირებით იყო გარკვეული ხარვეზები, რომლებიც დღეს აღმოფხვრილია. ვადაგადაცილებასთან დაკავშირებით დაკისრებულმა პირგასამტეხლომ შეადგინა 44400 ლარი, რომლის პატიებასაც ითხოვს საქართველოს ფეხბურთის ფედერაცია და იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული სტადიონის მოწყობა ფედერაციამ განახორციელა უფასოდ, მუნიციპალიტეტს მიზანშეწონილად მიაჩნია ხსენებული პირგასამტეხლოს პატიება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

48. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სსიპ - ქონების მართვის სააგენტოს 2021 წლის 6 აპრილის „პირობებით გამოცხადებული აუქციონის“ №ე-578-15-26111 ხელშეკრულებით გათვალისწინებული პირობის გაუქმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ქონების მართვის სააგენტოს უფროსმა ირაკლი თავართქილაძემ და განმარტა, რომ წარმოდგენილია აუქციონით განკარგულ მიწის ნაკვეთზე პირობის მოხსნა. კერძოდ, 2021 წელს გაყიდულ მიწის ნაკვეთზე განსაზღვრული იყო ორი პირობა: დარეგისტრირებული კონფიგურაციით მშენებლობის უფლების გარეშე და მოთხოვნის შემთხვევაში, კონკრეტულ საკადასტრო ერთეულთან მისასვლელის უზრუნველყოფა. იქიდან გამომდინარე, რომ მიწის

ნაკვეთი შეიძინა იმ საკადასტრო ერთეულის მესაკუთრემ, რომელთანაც ჰქონდა აღნიშნული პირობა და გააერთიანა მიწის ნაკვეთები, მისასვლელის უზრუნველყოფის საჭიროება აღარ არის და შესაბამისად, წარმოდგენილია ამ უკანასკნელი პირობის მოხსნა. აღსანიშნავია, რომ ლევან სამხარაულის სახელობის სასამართლო ექსპერტიზის ბიუროს დასკვნის თანახმად, ამ პირობის მოხსნა არ იწვევს მიწის ნაკვეთის ფასის ცვლილებას.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

49. „ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის სასმელი წყლის რეზერვუარის (თბილისის წყალსაცავის) სანიტარიული დაცვის ზონის დადგენისა და მართვის წესის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2020 წლის 1 ოქტომბრის N64-103 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა მერიის გარემოს დაცვის საქალაქო სამსახურის უფროსის მოადგილე ქეთევან კანდელაკიშვილმა და განმარტა, რომ თბილისის წყალსაცავის შემოგარენში დადგენილია მართვის სპეციალური რეჟიმები და ტერიტორია დაყოფილია სამ სარტყელად, ხოლო მესამე სარტყელის პირველი არეალი, თავის მხრივ, დაყოფილია ორ არეალად. დადგენილების მოქმედი რედაქციის თანახმად, პირველი არეალი ითვალისწინებს გარკვეულ შეღავათს იქ არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისთვის, კერძოდ, თუ მათ დადგენილების ამოქმედებამდე ჰქონდათ ქალაქგეგმარებითი დოკუმენტები, უფლება აქვთ მიიღონ მშენებლობის ნებართვა იმ შემთხვევაში, თუ მშენებლობის ეტაპზე, წარმოადგენენ შესაბამისი უფლებამოსილების მქონე სამსახურის თანხმობას საყოფაცხოვრებო წყალარინების ცენტრალურ ქსელზე დაერთებისა და ექსპლუატაციაში მიღების შესახებ. წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს ანალოგიური რეგულაციის გავრცელებას მეორე სარტყელში არსებული მიწის ნაკვეთების მესაკუთრეებისთვისაც.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

50. „ქ.თბილისის მუნიციპალიტეტის ტერიტორიების გამოყენებისა და განაშენიანების რეგულირების წესების დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2016 წლის 24 მაისის N14-39 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინეს ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და მერიის იურიდიული საქალაქო სამსახურის უფროსმა სერგო ბირკაძემ. ოთარ ჩიტიძემ განმარტა, რომ დადგენილების მოქმედი რედაქციით, საზოგადოებრივ-საქმიან ზონებში საცხოვრებელი ფუნქციის გადამეტებისას, მუნიციპალიტეტს უნდა გადაეცეს ნამატი ფართის 4% ბინა ერთეული ან შესაძლებელია შესაბამისი ფასის გადახდა. წარმოდგენილი ცვლილება ითვალისწინებს მხოლოდ ფასის გადახდას, რაც გამოწვეულია იმით, რომ საბინაო ფონდი გახდეს ბევრად უფრო მოქნილი. სერგო ბირკაძემ განმარტა, რომ დადგენილებით წარმოდგენილი ცვლილებები ეხება ავარიული სახლების ჩანაცვლების პრინციპების დაზუსტებას, კერძოდ, იმ შემთხვევაში,

როდესაც, მესაკუთრეების თანხმობით, ავარიული სახლების ჩანაცვლებას ახორციელებს ბიზნესი, ზუსტება სამი საკითხი:

1. როდესაც დეველოპერი ავარიული სახლის ჩანაცვლების დროს, მიმართავს მუნიციპალიტეტს, ეს უკანასკნელი ხელშემწყობი ღონისძიებების განსაზღვრისას ხელმძღვანელობს გარკვეული ჩარჩოებით ანუ ეკონომიკურ დაანგარიშებაში ბიზნესს უთვლის გარკვეულ პარამეტრებს, რაც იმას ნიშნავს, რომ პარამეტრებით დადგენილ მოცულობაზე მეტის უფლება არ ექნება. იქიდან გამომდინარე, რომ ურბანული თვალსაზრისით ეს მისაღებია და პრიორიტეტია იმ კუთხით, რომ მოხდეს ბიზნესის ხელშეწყობა და ბიზნესმა უფრო მეტი ავარიული სახლის ჩანაცვლებაში მიიღოს მონაწილეობა, ერთჯერადად, გამონაკლისის სახით, დასაშვები ხდება, რომ ასეთ შემთხვევაში, მას ასევე, შეეძლოს, რომ კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ზონაში ავარიული სახლების ჩანაცვლების პროცესშიც, ბიუჯეტში გადაიხადოს თანხა და დამატებით მოიმატოს სამშენებლო პარამეტრები.
2. ხშირია შემთხვევები, როდესაც მესაკუთრეებს ავარიულ სახლებში აქვთ მცირე ზომის ფართები (3, 4 ან 5 კვ.მ.) და რომ არ გაჩნდეს იმის მოლოდინი, რომ მათ შეიძლება საკუთრებაში მიიღონ სრული ბინა, ასეთ შემთხვევაში მათ დეველოპერი გადაუხდის თანხას სარეალიზაციო ღირებულების გათვალისწინებით, ხოლო 15 კვ.მ.-ზე მეტი ფართის შემთხვევაში, შესაძლებელია დამრგვალდეს არაუმეტეს 30 კვ.მ.-მდე.
3. არის ისეთი შემთხვევები, როდესაც ავარიული სახლების მაცხოვრებლები არიან დევნილები, რომლებსაც ფართები დარეგისტრირებული აქვთ, როგორც საერთო სარგებლობის ქონება, რომლის ეკონომიკაში დაანგარიშება და დეველოპერისთვის გათვალისწინება არ ხდება მოქმედი წესის თანახმად. თუმცა, იქიდან გამომდინარე, რომ აღნიშნული გამონაკლისის სახით აღმოჩნდა საკუთრების რეგისტრაციის დოკუმენტებში, ზუსტდება, რომ მხოლოდ ისეთ შემთხვევაში, როდესაც სახელმწიფოს მიერ მოხდა დევნილებისთვის ქონების გადაცემა საკუთრებაში და ეს ქონება დარეგისტრირებულია როგორც საერთო სარგებლობის ფართი, ის ჩაითვალოს დეველოპერისთვის ასანაზღაურებელ ოდენობად. აღსანიშნავია, რომ ამ შემთხვევაშიც გავრცელდება წესით მოქმედი ყველა სხვა რეგულაცია.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

51. „დედაქალაქის მიწათსარგებლობის გენერალური გეგმის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 15 მარტის N39-18 დადგენილებაში ცვლილების შეტანის თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ.

გიორგი ტყემალაძემ განმარტა, რომ ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილებასთან დაკავშირებით, წინადადებები წარმოდგენილია თბილისის მერის წერილებით: N12-0323101160-03 თარიღი: 11.04.2023, N12-03231178-03 თარიღი: 27.04.2023, N12-03231182-03 თარიღი: 28.04.2023, N12-032312427-03 თარიღი: 04.05.2023, N12-032312428-03 თარიღი: 04.05.2023 და N12-032313777-03 თარიღი: 17.05.2023, რომელთაგან, საკრებულოს შესაბამისი კომისიების რეკომენდაციით, დამატებით შესწავლას მოითხოვს და უმჯობესია განსახილველად გადაიდოს N12-03231178-03 წერილით წარმოდგენილი „ა“, „დ“ და „ე“ პოზიციები, ხოლო დანარჩენ პოზიციებზე ფუნქციური ზონის სტატუსის ცვლილება მისაღებია.

საბა ბუაძემ აღნიშნა, რომ პროექტით წარმოდგენილია ჭავჭავაძეზე ზონის ცვლილება, რაც ხორციელდება დაგეგმილი პრივატიზებისთვის და ყველამ ვიცით, რომ ობიექტის პრივატიზება დაგეგმილია იმ ადამიანზე, რომლის საკუთრებაში არსებულ მიწის ნაკვეთზე, რომელიც მდებარეობს ამ ტერიტორიის მიმდებარედ, მიმდინარეობს გრგ-ს დამუშავების პროცესი. საკრებულოს აქვს ბერკეტი, რომ ამ გრგ-ს დამუშავების პროცესში ინვესტორს, კომუნიკაციის შედეგად, თხოვოს, რომ პროექტი მაქსიმალურად გამართოს და გაასწოროს ურბანული თვალსაზრისით, თუმცა, ზონის სტატუსის შეცვლით, ამ ბერკეტს უშვებს ხელიდან და კომპანიას საშუალებას აძლევს კიდევ მოიმატოს, როგორც სამშენებლო მოცულობა, ასევე, თავისი მშენებლობის ნაწილი გახადოს ეს ტერიტორია. მისი თქმით, ინვესტორი ახორციელებს ძალიან დიდ პროექტს, რომელიც იქაური ურბანული ქსოვილისთვის იქნება ძალიან დიდი პრობლემების მომტანი და მუნიციპალიტეტის მხრიდან დამატებითი ხელშეწყობა ნამდვილად არ სჭირდება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ, საკრებულოს კომისიების რეკომენდაციის გათვალისწინებით, კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 5

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება არ იქნა მიღებული.

რადიოფიცირებისა და კენჭისყრის პროცედურების მონიტორინგის კომპიუტერულ სისტემაში დაფიქსირდა ტექნიკური ხარვეზი და საკრებულოს თავმჯდომარემ განმეორებით დააყენა კენჭისყარე წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

52. „ქ.თბილისში, სოფელ დიღომში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.72.14.035.161) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 7800 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 6-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 2

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

53. „ქ.თბილისში, ბაღდადის ქუჩა N12-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.17.12.026.002) მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 8400 კვ.მ., სადაც,

დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საზოგადოებრივ-საქმიანი ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი მრავალფუნქციური საცხოვრებელი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

54. „ქ.თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.004.002-ის ნაწილი) მრავალბინიანი საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 81000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, რომლის თანახმად, კ2 კოეფიციენტი ათვისებული იქნება 0.8-ით და საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, 16 საკადასტრო ერთეულზე განთავსდება ორმოცი, დაბალი ინტენსივობის, საცხოვრებელი სახლი. აღსანიშნავია, რომ პროექტის განხორციელებით დაკმაყოფილდებიან კოოპერატიული მშენებლობით დაზარალებული ოჯახები.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

55. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში; ქალაქი თბილისი, ნაფეტვრებისაკენ მიმავალ გზაზე არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.14.06.006.131; N01.14.06.004.002-ის ნაწილი) საცხოვრებელი კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ ტერიტორიაზე დამტკიცებულია განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალება, რომლის თანახმად, მშენებლობა განხორციელდება საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით. აღსანიშნავია, რომ ამ და წინა პროექტებით, ჯამში დაკმაყოფილდება კოოპერატიული მშენებლობით დაზარალებული სამოცდაცამეტი ოჯახი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

56. „ქალაქ თბილისში, კახეთის გზატკეცილის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთზე (ნაკვეთი 07/052) (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.052) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე

წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 11000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, სპეციალური ზონა 1-სა და სარეკრეაციო ზონა 2-ის პარამეტრებით, განთავსდება ორსართულიანი სამეცნიერო, საწარმოო, სასაწყობე და ადმინისტრაციული ფუნქციის შენობა-ნაგებობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

57. „ქალაქ თბილისში, სოფელ აგარაკში არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.28.217; N72.16.28.294; N72.16.28.258) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 17000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება თექვსმეტი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

58. „ქალაქ თბილისში, სოფელ თხინვალაში, ვარაზის ქუჩის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებსა (საკადასტრო კოდები: N72.16.15.811; N72.16.23.938; N72.16.23.937; N72.16.23.219-ის ნაწილი; N72.16.23.936; N72.16.15.742; N72.16.23.980; N72.16.23.978; N72.16.23.977; N72.16.23.348-ის ნაწილი; N72.16.15.812; N72.16.15.808; N72.16.15.741; N72.16.23.979; N72.16.23.410; N72.16.15.907; N72.16.15.908; N72.16.15.909; N72.16.23.067; N72.16.23.068; N72.16.15.911; N72.16.33.144) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 91000 კვ.მ., სადაც, დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების თანახმად, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, განთავსდება ას ერთი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

59. „ქალაქ თბილისში, აკაკი ბაქრაძის ქუჩა N6, N7, მარშალ გელოვანის გამზირი N23გ, N27, N23, N23ა, N23ბ-ში მდებარე მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდი: N01.10.10.025.023, N01.10.10.025.036, N01.10.10.025.045, N01.10.10.025.069, N01.10.10.025.070, N01.10.10.025.071, N01.10.10.025.086), მრავალფუნქციური კომპლექსის (საცხოვრებელი, საოფისე, სპორტულ-გამაჯანსაღებელი, სკოლა, ბაღი, კომერციული და დამხმარე) განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების თაობაზე“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2019 წლის 19 აპრილის N118 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ კორექტირება ეხება ორ სექტორს. ერთ სექტორში, სადაც გათვალისწინებულია საცხოვრებელი ზონა 5-ით განვითარება, ხდება შენობის სართულიანობის ზრდა 9-დან 10 სართულამდე. საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებიდან გამომდინარე, მშენებელს კოეფიციენტი ათვისებული ჰქონდა 1.1, რაც ცვლილების შემდეგ გახდება 1.2. ასევე, სექტორ XI-ში გათვალისწინებული იყო 75% საცხოვრებელი, ხოლო 25 % კომერციული ფუნქცია, ხოლო წარმოდგენილი კორექტირებით ფუნქციები გადანაწილდება შემდეგნაირად: 90% საცხოვრებელი და 10% კომერციული.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

60. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ვარკეთილი 2-სა და ვაზისუბნის დასახლებას შორის არსებულ მიწის ნაკვეთზე მრავალფუნქციური კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის დამტკიცების შესახებ“ ქალაქ თბილისის მუნიციპალიტეტის საკრებულოს 2015 წლის 30 ოქტომბრის N396 განკარგულებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 31000 კვ.მ., სადაც ვრცელდება საცხოვრებელი ზონა 6 და მშენებელს კ2 კოეფიციენტი ათვისებული ჰქონდა 2.4. ტერიტორიაზე ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებებიდან გამომდინარე, კორექტირება ეხება მხოლოდ სექტორ IV-ს, სადაც გათვალისწინებული იქნა ხელშემწყობი ღონისძიებები, რომლის ფარგლებში განხორციელდა კ2-ის ზრდა 2.5-მდე და შესაბამისად, 6 და 7 სართულიანი საცხოვრბელი კორპუსების ნაცვლად, განთავსდება ორი, რვასართულიანი, მრავალბინიანი კორპუსი.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

61. „ქ.თბილისში, ვაკე-საბურთალოს რაიონში, ლისის ტბის მიმდებარე ტერიტორიაზე ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლების და საზოგადოებრივი დანიშნულების ობიექტების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის პროექტის შეთანხმების შესახებ“ ქალაქ თბილისის მერიის სსიპ - თბილისის არქიტექტურის სამსახურის 2011 წლის 16

სექტემბრის N01/2773 ბრძანებით დამტკიცებული განაშენიანების რეგულირების გეგმის კორექტირებული პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართი, რომელზეც ხორციელდება კორექტირება არის 619 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 3-ის პარამეტრებით, დაგეგმილია დაბალი ინტენსივობის მრავალბინიანი საცხოვრებელი ფუნქციით განვითარება, სადაც შენობა-ნაგებობების მაქსიმალური სიმაღლე განსაზღვრულია 15 მეტრით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

62. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.N07/049) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.889) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 40000 კვ.მ., სადაც, დაგეგმილია სასაწყობე და მცირე საოფისე ოთხი შენობა-ნაგებობის განთავსება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 18

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

63. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.N07/049) არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.888) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 81000 კვ.მ., სადაც, სამრეწველო ზონა 1-ისა და სატრანსპორტო ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ცხრა სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

64. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.897-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო

ფართია 80000 კვ.მ., სადაც, სამრეწველო ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია თორმეტი სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

65. „ქალაქ თბილისში, მიხეილ გრიგორაშვილის ქუჩა N19-ში არსებულ მიწის ნაკვეთზე (საკადასტრო კოდი: N01.19.24.007.897-ის ნაწილი) სასაწყობე კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 70000 კვ.მ., სადაც, სამრეწველო ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია რვა სასაწყობე შენობა-ნაგებობის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

66. „ქალაქ თბილისში, სოფელ წავკისში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N81.02.18.079; N81.02.18.795; N81.02.18.786; N81.02.18.787; N81.02.18.078) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 5300 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ოთხი ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

67. „ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, გურამიშვილის ქუჩა N18-ში (ნაკვ. 85/28) (ნაკვ. 85/18); ქალაქ თბილისში, დაბა წყნეთში, ახალდაბის ქუჩის მიმდებარედ (ნაკვეთი N1 და ნაკვეთი N2) არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.20.01.085.028; N01.20.01.085.054; N01.20.01.085.056; N01.20.01.085.055; N01.20.01.085.035) ინდივიდუალური ერთბინიანი საცხოვრებელი სახლების განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე" საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 12388 კვ.მ., სადაც,

საცხოვრებელი ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ცხრა ინდივიდუალური საცხოვრებელი სახლის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 20

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

68. „ქალაქ თბილისში, ქიზიყის ქუჩა N27-ში (ნაკვ.N07/048), ქიზიყის ქუჩა N27-ის მიმდებარედ არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.19.24.007.275; N01.19.24.007.803) და მიმდებარე დაურეგისტრირებელ ტერიტორიაზე ლოჯისტიკური და საოფისე ცენტრის (საწყობები) განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 47000 კვ.მ., სადაც, სპეციალური ზონა 1-ის პარამეტრებით, დაგეგმილია ლოჯისტიკური და საოფისე ცენტრის მშენებლობა.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

69. „ქალაქ თბილისში, რუსთავის გზატკეცილზე, N18-22 (ნაკვეთი N7/33), (ნაკვეთი N7/36), N22დ-ში არსებულ მიწის ნაკვეთებზე (საკადასტრო კოდები: N01.18.12.007.076; N01.18.12.007.075; N01.18.12.007.126; N01.18.12.007.093) მრავალბინიანი საცხოვრებელი სახლების კომპლექსის განაშენიანების რეგულირების გეგმის გეგმარებითი დავალების პროექტის დამტკიცების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა ტრანსპორტისა და ურბანული განვითარების სააგენტოს უფროსის მოადგილე ოთარ ჩიტიძემ და განმარტა, რომ საპროექტო ტერიტორიის საერთო ფართია 10526 კვ.მ., სადაც, საცხოვრებელი ზონა 5-ის პარამეტრებით, განთავსდება ორი, მრავალბინიანი საცხოვრებელი კორპუსი, რომელთა მაქსიმალური სართულიანობა განსაზღვრულია 12 სართულით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 17

თავი შეიკავა - 1

წინააღმდეგი - 1

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

70. „შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ და მასთან აფილირებული კომპანიების დაუმთავრებელი მშენებლობების დასრულებისთვის ფინანსური მხარდაჭერის მიზნით, შპს „ცენტრ პოინტი ჯგუფის“ (ს/კ.: 204460957) და შპს „შიზის“ (ს/კ.: 406368728) მიმართ გასატარებელი ღონისძიებების შეთანხმების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ დაუმთავრებელი მშენებლობის

დასრულების მიზნით ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების ფარგლებში, შპს „შიზი“ 782928 ა.შ.შ. დოლარით დააფინანსებს შპს „ცენტრ პოინტ ჯგუფის“ ობიექტებს, ხოლო სანაცვლოდ, კომპანია, ბეჟანიშვილის ქ.N11-ში, 2833 კვ.მ. მიწის ნაკვეთზე, რომელზეც გაცემულია გაპი, მხოლოდ სიმაღლის პრეფერენციის გათვალისწინებით, მიიღებს „კ“ ზღვრული მაჩვენებლების მატების უფლებას 2.5-დან 4.6-მდე.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 21

თავი შეიკავა – 2

წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

71. „მისამართზე – ქ.თბილისი, ბოჭორმის ქუჩა N20/ლეხ კაჩინსკის ქუჩა N2 (ს/კ.: N01.17.13.041.016), არსებული დაუმთავრებელი მშენებლობის დასრულებისთვის დაინტერესებული პირის შპს „სამშენებლო კომპანია ალფა დეველოპმენტის“ (ს/ნ. 454407721) მიმართ ხელშემწყობი ღონისძიებების გამოყენების საკითხის შეთანხმების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილი საკითხი ეხება ბოჭორმის ქ.N20-ში არსებულ დაუმთავრებელ მშენებლობას, რომელიც დაიწყო 2006 წელს და შეჩერდა ომის გამო. ფართის სახით გასაცემი აღიარებული ვალდებულება არის 30146 კვ.მ. სასარგებლო ფართი, რაც არის 250-მდე დაზარალებული ოჯახი, ხოლო 554 კვ.მ. ფართი არ აღიარდა. აღნიშნულ მშენებლობაზე განისაზღვრა შემდეგი პრეფერენციები: გრგ-ს გარეშე განვითარება გაპებით, კ2 – 7.0, კ3 – 0.1, ფუნქციური ზონის ცვლილება, 554 ერთეული საპარკინგე ადგილი და სიმაღლის პრეფერენციის გამოყენება. ასევე, ჩადებულია დაზღვევის მექანიზმი, კერძოდ, ქონების სააგენტოს მიერ გადამეტებული სარეალიზაციო ფართების შეზღუდვა იპოთეკისა და გასხვისების მიმართულებით, რომელიც შეიძლება მოიხსნას შესრულებული სამუშაოს პროპორციულად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე – 22

თავი შეიკავა – 2

წინააღმდეგი – 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ხმათა უმრავლესობით.

72. „მისამართებზე – ქ.თბილისი, საირმის ქუჩა N37 (ს/კ.: N01.10.14.024.036); ქ.თბილისი, მუხაძის ქ.N4 (ს/კ.: N01.14.11.024.004); ქ.თბილისი ი.აბაშიძის ქ.N55 (ს/კ.: 01.14.11.024.012) მდებარე ობიექტებისათვის დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭების თაობაზე“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს იურიდიულ საკითხთა და ადამიანის უფლებათა დაცვის კომისიის თავმჯდომარე ლევან ჟორჟოლიანმა და განმარტა, რომ წარმოდგენილია დაუმთავრებელი მშენებლობის სტატუსის მინიჭება კომპანია „ათორის“ სამი ობიექტისთვის, რომლებიც მდებარეობს საირმის ქ.N37-ში, მუხაძის ქ.N4-ში და ი.აბაშიძის ქ.N55-ში და სადაც დაზარალებულია 300 ოჯახი.

ნინო წულაძემ განაცხადა, რომ წარმოდგენილი საკითხი ძალიან მნიშვნელოვანი გადაწყვეტილებაა, რადგან დაახლოებით სამი წელია სტატუსის მინიჭებისთვის იბრძვის 300-მდე დაზარალებული მოქალაქე, რომლებიც აღმოჩნდნენ თაღლითური სქემის მსხვერპლნი და იმედი გამოთქვა, რომ სტატუსის მინიჭების შემდეგ, მუნიციპალიტეტი დაასრულებს პროცესს და არ დარჩება კითხვის ნიშნები ამ თემასთან დაკავშირებით.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 21

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

73. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ბროლოსანის ქუჩისთვის ექიმის, ნეფროლოგის მერი გელოვანის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

74. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, ვახტანგ ჭაბუკიანის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული შესახვევისთვის მედიცინის მეცნიერებათა დოქტორის, პროფესორის თამარ დეკანოსიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

75. „ქალაქ თბილისში, ნამალადევის რაიონში, ჭიჭიკო ბენდელიანის გორისთვის მევიოლინე მარინე იაშვილის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

76. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, მიხეილ იპოლიტოვ-ივანოვის ქუჩის მონაკვეთისთვის, I ჩიხის მონაკვეთისთვის და ილორის ქუჩის მონაკვეთისთვის კომპოზიტორის თამარ ვახვახიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

77. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, აშოტ კურაპალატის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის სახელმწიფო მოღვაწის კრავაი ჯაყელის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

78. „ქალაქ თბილისში, ისნისა და სამგორის რაიონებში, უმოს ქუჩის შესახვევისთვის საზოგადო მოღვაწის მედეა ღამბაშიძის ქუჩის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

79. „ქალაქ თბილისში, გლდანის რაიონში, ალექსი გობრონიძის ქუჩის მონაკვეთისთვის და მასთან არსებული უსახელო ქუჩისთვის ინჟინრის ბარბარე ბაირამაშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

80. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში, აგარაკის დასახლებაში, წმინდა წყლის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის მეზღვაურის იულია ფაილოძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

81. „ქალაქ თბილისში, საბურთალოს რაიონში, სოფელ დიღომში, დიდგორის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის და მასთან არსებული I შესახვევისთვის კალიგრაფ გადამწერის მანანა ზედგინიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

82. „ქალაქ თბილისში, ვაკის რაიონში ლეო კვაჭაძის ქუჩასთან მდებარე უსახელო ქუჩისთვის ექიმის ბარბარე ყიფიანის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 27

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

83. „ქალაქ თბილისში, მთაწმინდის რაიონში, წავკისის ველის დასახლებაში მდებარე ორი უსახელო ქუჩისთვის მსახიობების თამარ ჭავჭავაძის და ცეცილია წუწუნავას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 26

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

84. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I და III ქუჩების მონაკვეთებისთვის მფრინავის ნინა ხუბულავას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

85. „ქალაქ თბილისში, სამგორის რაიონში, ბესარიონ ქებურიას დასახლების I ქუჩის მონაკვეთისთვის მფრინავის რუსუდან ჟორდანიას სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 23

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

86. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, დოესის ქუჩისთვის დიპლომატის რუსუდან მიქელაძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 24

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

87. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ცუცხვათის ქუჩისთვის პოეტის მარიამ აბრამიშვილის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 25

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

88. „ქალაქ თბილისში, ისნის რაიონში, ძევერას ქუჩისთვის მშვილდოსნის ქეთევან ლოსაბერიძის სახელის მინიჭების შესახებ“ საკითხი საკრებულოს სხდომაზე წარადგინა საკრებულოს სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის თავმჯდომარე ნინო ვარდოსანიძემ.

ნინო წულაძემ აღნიშნა, რომ პარტიამ „ხალხისთვის“ დაარეგისტრირა წინადადება, თბილისში ერთ-ერთი ქუჩისთვის მსოფლიოში პირველი არჩეული მუსლიმი დეპუტატი ქალის ფარი ხანუმ სოფიევას სახელის მინიჭებასთან დაკავშირებით, რაზეც სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიის სხდომაზე იყო განხილვა, განაცხადა, რომ ძალიან მნიშვნელოვანია ფარი ხანუმ

სოფიევას სახელობის ქუჩის არსებობა თბილისში, მადლობა გადაუხადა სახელდებისა და სიმბოლიკის კომისიას და იმედი გამოთქვა, რომ ახლო მომავალში აღნიშნული საკითხი განხილული იქნება საკრებულოს სხდომაზე. ნინო წულაძემ ასევე, ისაუბრა სამშენებლო კომპანიების „თაღლითურ სქემებზე" და საკრებულოს თავმჯდომარეს მიმართა წინადადებით, რომ საკრებულომ, მერიასთან ერთად, იმსჯელოს სამშენებლო ნებართვების გაცემის გამკაცრებაზე და დაზღვევის მექანიზმების შემოღებაზე, რათა სამომავლოდ, თავიდან იქნას აცილებული „სამშენებლო თაღლითობები" და მუნიციპალიტეტს, თავისი ბიუჯეტით, აღარ მოუწიოს კერძო კომპანიების მიერ გაფუჭებული საქმის გამოსწორება.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ კენჭისყრაზე დააყენა წარმოდგენილი საკითხი.

მომხრე - 22

თავი შეიკავა - 0

წინააღმდეგი - 0

გადაწყვეტილება მიღებული იქნა ერთხმად.

საკრებულოს თავმჯდომარე გიორგი ტყემალაძემ საკრებულოს სხდომა დახურულად გამოაცხადა.

სხდომაზე მიღებული იქნა 12 დადგენილება და 76 განკარგულება.

საკრებულოს თავმჯდომარე		გიორგი ტყემალაძე
საკრებულოს თავმჯდომარის პირველი მოადგილე		გიორგი ახვლედიანი